ადამიანის უფლებები: აქცენტი წამებაზე

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. თბილისი, საქართველო: 2011 წლის აპრილი
საბოლოო ანგარიში

პროექტი დააფინანსა დიდი ბრიტანეთის საელჩომ საქართველოში.
პროექტი განახორციელა წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა (GCRT).

აპრილი 2011
თბილისი

საკონტაქტო ინფორმაცია

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

GCRT – წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი
თბილისი, ანჯაფარიძის 9
საკონტაქტო პირი: ერეკლე ნათაძე
ტელეფონი: +995 (32) 220689
ფაქსი: +995 (32) 225402
ელ. ფოსტა: gcrt@gol.ge
ვებგვერდი: www.gcrt.ge

შენიშვნები

მოცემული ანგარიში შეიცავს **GCRT**-ის მიერ **დიდი ბრიტანეთის საელჩოს** ფინანსური დახმარებით მოპოვებულ და დამუშავებულ მონაცემებს. ამ ინფორმაციის გამოყენება, სრულად ან ნაწილობრივ, შესაძლებელია თავისუფლად, იმ პირობით რომ საავტორო უფლებები სათანადოდ არის განმარტებული.

აბრევიატურები და აკრონიმები

ორგანიზაციები

EU	ევროპის გაერთიანება
GCRT	წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ქართული ცენტრი
ICRC	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
ODIHR	დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების განყოფილება
UNHCR	გაეროს დევნილების საქმეთა მაღალი კომისარი
UNVFTV	გაეროს წამების მსხვერპლთა დახმარების ფონდი
ჯშსს	ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო
ეუთო	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
თს	თავდაცვის სამინისტრო
შსს	შინაგან საქმეთა სამინისტრო

სხვადასხვა ტერმინები

აუ	ადამიანის უფლებები
ფსა	ფსიქიკური სფეროს აშლილობა
იგპ	იძულებით გადაადგილებული პირი
ოტ	ომის ტყვე
ფმ	ფიზიკური მოშლილობა

ტექნიკური ტერმინები

ANOVA	ვარიაციული ანალიზი
DK	“Do Not Know” – „არ ვიცი“
DTS	“Difficult to Say” – „მიჭირს პასუხის გაცემა“
HSD	“Honestly Significant Difference” – „ნამდვილად მნიშვნელოვანი განსხვავება“
NA	No Answer – „პასუხი არ არის“

Contents

საკონტაქტო ინფორმაცია 2

შენიშვნები 3

აბრევიატურები და აკრონიმები 4

სარჩევი 5

ძირითადი ანგარიში **8**

1. **პროექტის მიმოხილვა და მეთოდოლოგია** **9**
2. **კვლევის შედეგები** **11**

2.1. ზოგადი სოციო-ეკონომიკური კონტექსტი 14

2.2. ადამიანის უფლებები: მდგომარეობა, გაცნობიერებულობა 20

2.3. ძალადობა და დამცირება საზოგადოებაში 31

2.4. წამება – აღქმა, სიხშირე, დამოკიდებულება 39

დიაგრამები

სურათი 1:ზოგადი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა 14
სურათი 2: ზოგადი სოციო-ეკონომიკური განვითარების ტენდენცია 15
სურათი 3: პრობლემების *სიმწვავე* 16
სურათი 4: პრობლემური *ტენდენციები* 17
სურათი 5. 2007 და 2011 წლის ტენდენციების შედარება პრობლემების მიხედვით 18
სურათი 6. პრობლემის *სიმწვავე* და *ტენდენცია* 18
სურათი 7:ვინ არის პირველი – ადამიანი თუ სახელმწიფო? 21
სურათი 8. ასოციაციების განაწილება ვრცელ კატეგორიებში 22
სურათი 9:ასოციაციები „ადამიანის უფლებებთან“ 22
სურათი 10. ინფორმირებულობა საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტების შესახებ , რომელიც არეგულირებს ადამინის უფლებების დაცვას (2003,2007,2011 წლები) 23
სურათი 11:„ადამიანის უფლებებთან“ დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტები 24
სურათი 12: სოციო-ეკონომიკური პრობლემების კავშირი „ადამიანის უფლებებთან“ 25
სურათი 13: საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიმართ 27
სურათი 14: სხვადასხვა სოციალური ჯგუფები - მდგომარეობის შეფასება და აზრთა სხვადასხვაობა 28
სურათი 15. საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილება 2007-2011 წლებში (საშუალოთა შედარება) 29
სურათი 16: ძლიერი დამცირება: 3-ე მხარე 31
სურათი 17: ძლიერი დამცირება: რესპონდენტი 32
სურათი 18: ძლიერი დამცირების გამომწვევი ფაქტორები: მესამე მხარე 33
სურათი 19: ძლიერი დამცირების გამომწვევი ფაქტორები: რესპონდენტი 33
სურათი 20: ძლიერი დამცირება სახელმწიფოს მხრიდან: 3-ე მხარე 35
სურათი 21: ძლიერი დამცირება სახელმწიფოს მხრიდან: რესპონდენტი 35
სურათი 22:ძლიერი დამცირება კერძო ურთიერთობებში: 3-ე მხარე 36
სურათი 23:ძლიერი დამცირება კერძო ურთიერთობებში: რესპონდენტი 37
სურათი 24: ასოციაციები „წამებასთან“ 39
სურათი 26: ფიზიკური ძალადობის სიხშირის აღქმა 41
სურათი 27. ფიზიკური ძალადობის სიხშირის აღქმა, საშუალო მაჩვენებლები 42
სურათი 28: ფიზიკური ძალადობის გამართლებულობა 44
სურათი 29 ფიზიკური ძალადობის გამართლებულობა. (როგორც წესი გამართლებულია და ზოგჯერ გამართლებულია პასუხების განაწილება) 45
სურათი 30:წამების შემთხვევათა დინამიკის შეფასება 46

სურათი 31:წამებასთან ბრძოლის საჭიროება 47
სურათი 32: წამებასთან ბრძოლის მეთოდები 48
სურათი 33 წამებასთან ბრძოლის მეთოდების პრიორიტეტულობის აღქმა 49
სურათი 34:იცნობთ თუ არა წამების მსხვერპლს 50
სურათი 35:წამების ჩამდენი 51
სურათი 36: სჭირდება თუ არა მსხვერპლს დახმარება 52
სურათი 37: წამების სიხშირე სხვადასხვა ადგილებში 53
სურათი 38: წამების მოტივები წინასწარი დაკავების საკანში 54
სურათი 39: წამების მოტივები ციხეში 54
სურათი 40: აგრესიის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები 55

ძირითადი ანგარიში

1. პროექტის მიმოხილვა და მეთოდოლოგია

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შესაბამის დახმარებას უწევს დევნილებს, ლტოლვილებს და ციხე-პოლიციაში ნაწამებ ადამიანებს საქართველოში. ცენტრის ძირითადი მხარდამჭერები არიან ევროკომისია, UNVFTV, UNHCR, ეუთო, ICRC, Oak Foundation. ცენტრი და მისი პარტნიორები მიიჩნევენ, რომ ცენტრის საქმიანობის ეფექტური დაგეგმვა საჭიროებს შესაბამისი პრობლემატიკის ამსახველი სანდო რაოდენობრივი ინდიკატორების არსებობას. ამ მიზნით ჩატარდა კვლევა, რომელიც ასახავს თბილისში არსებულ მდგომარეობას ადამიანის უფლებებთან, და კერძოდ წამებასთან მიმართებაში. კვლევა გულისხმობს თბილისში წამების და, ზოგადად ძალადობის ფაქტების სიხშირის შეფასებას, საზოგადოების მიერ შესაბამისი პრობლემატიკის აღქმის და მის მიმართ დამოკიდებულების შესწავლას.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა თბილისის მოსახლეობის (802 რესპონდენტის) გამოკითხვა მათ საცხოვრებელ ადგილზე. ინტერვიუები ჩატარდა 2011 წლის აპრილში. მოცემული კვლევა არის 2003 წლის ოქტომბერში უშუალოდ „ვარდების რევოლუციამდე“ და 2007 წლის თებერვალში ჩატარებული კვლევის გამეორება. ამრიგად, მოცემულ ანგარიშში ხდება მიმდინარე ინდიკატორების შედარება წინა ორი კვლევის მონაცემებთან. კვლევის კითხვარი მოცემულია დანართში **Error! Reference source not found.**.

კვლევაში გამოყენებული იყო კლასტერული ტერიტორიული შემთხვევითი შერჩევა, ანუ რესპონდენტები შერჩეულნი იყვნენ შემთხვევითად რაიონული დაყოფის პრინციპით. კლასტერების სიდიდე დადგინდა ოფიციალური მონაცემების შესაბამისად.[1] ცხრილი 1. მოცემულია რესპონდენტთა განაწილება რაიონების, განათლების, დასაქმების მიხედვით

ცხრილი 1. რესპონდენტთა განაწილება თბილისის რაიონების მიხედვით

რაიონი	შერჩევითი ერთობლიობა	გენერალური ერთობლიობა
გლდანი	104	151474
ნაძალადევი	134	136260
დიდუბე	59	70564
ჩუღურეთი	68	56800
საბურთალო	106	125400
ვაკე	73	95561
მთაწმინდა	36	50079
კრწანისი	36	44664
ისანი	65	113861
სამგორი	121	149964
სულ:	802	994627

მონაცემთა დამუშავება, ტაბულაცია, ანალიზი და საბოლოო ანგარიშის მომზადება განახორციელეს დაქირავებულმა სპეციალისტებმა. შერჩევის სხვადასხვა ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების დასადგენად გამოყენებული იყო ვარიაციული ანალიზი (ANOVA, T-Test). ამგვარი განსხვავების აღმოჩენის შემთხვევაში იმ კონკრეტული ჯგუფების დასადგენად, რომელთა შორისაც არსებობდა სხვაობა, გამოიყენებოდა მრავალჯერადი წყვილური შედარების ტესტი. (Tukey's HSD Test). გარდა ამისა, ნომინალური ცვლადების შემთხვევაში, ჯგუფებს შორის განსხვავებების აღმოსაჩენად ჩვეულებრივ გამოიყენებოდა χ^2-ტესტს. ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებული იყო მრავალგანზომილებიანი სკალირების ტექნიკაც.

კვლევის შედეგების სანდოობის ზღვრად არჩეულ იქნა 95%. სანდოობის ამ დონეზე, მოცემული ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში მოყვანილი (სრული შერჩევის) პროცენტების მაქსიმალური ცდომილება 3.5%-ია. იგივე 0.05 დონეზე სანდოა რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ანგარიშში აღნიშნული განსხვავებები.

რაოდენობრივი კვლევის ძირითად მიზანი იყო *წამების* საკითხის შესწავლა. კერძოდ, წამების ფაქტების სიხშირის, საზოგადოების მიერ პრობლემის გაცნობიერების, *წამების* და მის ირგვლივ არსებული საკითხებისა და სუბიექტების მიმართ დამოკიდებულების შესწავლა. კვლევის თემის სენსიტიურობამ გარკვეული მოთხოვნები წაუყენა კითხვარის შინაარსს, ზომასა და სტრუქტურას. რესპონდენტების ნდობის და საკითხისადმი მათი ადექვატური და გულწრფელი პასუხების მიღების მიზნით კითხვარის საწყისი კითხვები ეხებოდა საქართველოს წინაშე მდგარი *ზოგად სოციო-*

[1] წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ამომრჩეველთა სიები)

ეკონომიკური პრობლემებს, იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია წამებასთან და შეისწავლის ადამიანის უფლებებს, საზოგადოებაში აგრესიისა და ძალადობის საკითხებს.

კითხვარი ოთხი ნაწილისგან შედგებოდა:

<u>პირველ ნაწილში</u> მოცემულია ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური კონტექსტის აღწერა, თავად რესპონდენტების შეფასებათა ენით. გარდა ამისა, მოხდა ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი პრობლემების რანჟირება ამ პრობლემების *სიმწვავის* და *განვითარების ტენდენციის* მიხედვით.

<u>მეორე ნაწილში</u> *ადამიანის უფლებების* ცნება იყო შემოტანილი - ამ ცნების საზოგადოების მიერ აღქმა შესწავლილი იყო რესპონდენტების თავისუფალი ასოციაციების დაფიქსირების გზით, აგრეთვე ამ ცნების დაკავშირებით პირველ ნაწილში განხილულ სოციო-ეკონომიკურ პრობლემებთან.

<u>მესამე ნაწილში</u> შევეცადეთ დაგვედგინა ადამიანის ძლიერი შეურაცხყოფის (როგორც ფიზიკურის ისე მორალურის) შემთხვევათა მასშტაბი.

ბოლო, <u>მეოთხე ნაწილში</u> კვლევის ცენტრალური საკითხი – *წამება* – იყო განხილული. კერძოდ, შევისწავლეთ ამ ცნების აღქმა, მოვლენის მასშტაბი და შევაფასეთ საზოგადოების დამოკიდებულება მის მიმართ. გარდა ამისა, შეფასდა პრევენციულ-რეაბილიტაციური ღონისძიებების საჭიროებაც.

2. კვლევის შედეგები

2011 წლის მონაცემებით, ამათუიმ მიზეზით (ეკონომიკური, სქესი, პოლიტიკური შეხედულებები ...) და კერძო ურთიერთობებში დამცირების შემთხვევების გახსენება მომატებულია 2007 წელთან შედარებით, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან როგორც ფიზიკური, ისე მორალური დამცირების შემთხვევების გახსენება მცირედით შემცირებულია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გამოკითხულთა აზრით აგრესია მატულობს საზოგადოებაში, მაშინ აღნიშნული შედეგი ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის შედეგებიც, როდესაც რესპონდენტები საკუთარ დამცირებაზე საუბრობენ. აქ სურათი შებრუნებულია: სახელმწიფოს მხრიდან დამცირების შემთხვევების გახსენების მაჩვენებელი მცირედით გაზრდილია, ხოლო კერძო ურთიერთობებში, ამათუ იმ მიზეზით დამცირების ფაქტების გახსენების მაჩვენებელი 2003 და 2007 წლებთან შემცირებული. ამ თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი შედეგის მიზეზი მხოლოდ საზოგადოებრივი და საინფორმაციო კამპანიების ზეგავლენით შეიძლება აიხსნას. კერძოდ, მასმედია, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს (რაც კვლევის შედეგებმაც დაადასტურა), ბოლო ორი წლის მანძილზე საკმაოდ მძაფრად აშუქებს ძალადობის ფაქტებს, განსაკუთრებით კერძო ურთიერთობაში (ოჯახური ძალადობა, დაპირისპირება მეზობლებში და ა.შ), მეორეს მხრივ ნაკლებია ისეთი სიუჟეტების რაოდენობა, რომელიც ასახავს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ადამიანის შეურაცხყოფის ან დამცირების ფაქტებს, ამ მიმართულებით საზოგადოების ინფორმირება უმეტესად დადებითი კონტექსტის მქონე სიუჟეტებით ხდება (როგორ ხდება მომსახურების ხარისხის ამაღლება სახელმწიფო სტრუქტურებში, რა ახალი სერვისები დაინერგა და სხვა).

სამივე კვლევის მონაცემებით ყველაზე ხშირად დამცირების გამომწვევ ფაქტორად გვევლინება ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა. ყველაზე ხშირად სწორედ ამ ნიშნით ხდება მოქალაქეების მორალური დამცირება. 2011 წელს ეკონომიკური ნიშნით მესამე მხარის დამცირების ფაქტების გახსენების მაჩვენებელი 2007 წლის მაჩვენებლის მსგავსია, თუმცა ამ ნიშნით საკუთარ თავზე განცდილი დამცირების ფაქტები 2011 წელს რესპოდენტების ძალიან მცირე ნაწილმა გაიხსენა.

2011 წელს ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის გამო მორალური დამცირების ფაქტების გახსენების მაჩვენებელი გაზრდილია, თითქმის ყოველმა მეათემ გაიხსენა პიროვნების დამცირების ფაქტი ეროვნების გამო, ხოლო 6%-მა მრწამსის გამო. ისეთი ფაქტორების როლი, როგორიცაა ქცევა, გონებრივი/ფსიქიკური აშლილობა, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია, პოლიტიკური შეხედულებები, სოციალური სტატუსი შეურაცხყმყოფელი ქცევის პროვოცირებაში შედარებით დაბალია. საინტერესოა, რომ *სქესი,* სამივე კვლევის მონაცემებით, ყველაზე უმნიშვნელო დისკრიმინაციული ფაქტორია.

თუ 2003 და 2007 წელს პოლიცია იყო ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოძალადე საქართველოში, 2011 წლის მონაცემებით სასამართლო სისტემა სხვა სტრუქტურებთან შედარებით უფრო ხშირად სახელდება როგორც ადამიანის დამამცირებელი ქცევის წყარო.

სხვადასხვა სახის ოჯახურ ურთიერთობებში რესპონდენტების 14,7%-მა გაიხსენა მორალური დამცირების ფაქტი , ხოლო 13,2%-მა ფიზიკური ძალადობის ფაქტი. ოჯახურ ურთიერთობებში ყველაზე ხშირად მოძალადე არის ქმარი. ხშირია მამის მხრიდან შვილის მიმართ ფიზიკური დამცირება (6,7%). ოჯახურ ურთიერთობებში ყველაზე ნაკლებად დამამცირებელი ურთიერთობები არის სიძე -სიდედრ/სიმამრს შორის ურთიერთობები. სკოლაში რესპონდენტების 10,8%-მა გაიხსენა მორალური დამცირების ფაქტი, ხოლო 7,1%-მა ფიზიკური დამცირების ფაქტი. ამასთან ფიზიკური ძალადობა რესპონდენტების აზრით ყველაზე ხშირია მოსწავლეებს შორის (6,4%).

2011 წლის მონაცემებით რესპონდენტების აზრით საქართველოში შედარებით იშვიათია ძალადობა ვალის დაბრუნების, ფულის გამოძალვის და შურისძიების მიზნით, პატიმარზე და წინასწარ დაკავებაში მყოფი პირებზე, ეჭვმიტანილის დაკავების დროს, გამოძიების პროცესში, ბავშვთა სახლებში. ძალიან იშვიათია ცოლის მიერ ქმარზე, ფსიქიატრიულში, 2008 წლის ომის დროს ტყვეებზე, სკოლაში ბავშვებზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის დასახელება. რესპონდენტების უმრავლესობა თანხმდება, რომ 2008 წლის ომის დროს მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობა არ ხორციელდებოდა.

2003 წელს, გამოკითხულთა ერთ მესამედამდე თვლიდა, რომ ფიზიკური ძალადობა ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულია. 2007 წელს ფიზიკური ძალადობის ამათუიმ სცენარს ამართლებს რესპონდენტების 16,5%. 2011 წელს კი რესპონდენტების 23,3% ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ამართლებს ამათუიმ ურთიერთობაში ფიზიკურ ძალადობას.
თუ 2003-2007 წლების მონაცემებით, ოჯახური ძალადობა ან პირადი ვალის ამოღების მიზნით ძალადობა შედარებით უფრო მისაღებია, ვიდრე სახელმწიფოს ან კრიმინალების მხრიდან ძალადობა, 2007 წელს, რესპონდენტების 20% მზადაა გაამართლოს მევალეზე, მეუღლეზე, ან შვილზე ფიზიკური ან მორალური ძალადობა. 2011 წელს სხვა სცენარებთან შედარებით ყველაზე მეტი მიმღებლობა რესპონდენტებს აქვთ ოჯახში ბავშვის დასჯის სცენარის მიმართ. თითქმის ყოველმა მეათე რესპონდენტმა (9,6%) აღიარა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც მისაღებია ბავშვის დასჯა. ასევე შედარებით მისაღებია ეჭვმიტანილის დაკავების დროს (8,5%), ვალის დაბრუნების მიზნით (7,9%) და წინასწარ დაკავებაში მყოფ პირზე ძალადობა (7,9%)

წამების ასოციაციებში გამოიყო რამოდენიმე ჯგუფი: „სოციო-ეკონომიკური კონტექსტის ასოციაციები“, „რელიგიური ასოციაციები“, „პოლიცია და ციხე“, „წარსული ეპოქის ასოციაციები“ და „პერსონალიები“

თუ 2003-ში, რესპონდენტების მეხუთედისთვის სიტყვა „წამებაში“ იგულისხმობდა საქართველოში არსებულ მძიმე სოციო-ეკონომიკურ სიტუაცია, 2007 წლისთვის ამგვარი ასოციაციების რაოდენობა შემცირდა. 2011 წლისთვის კი ამ სახის ასოციაციები 5%-ზე ნაკლებია, რაც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თბილისში ცხოვრების დონის გაუმჯობესების შედეგი უნდა იყოს.

2003 წელს გამოკითხულთა 2%-სთვის „წამება“ პირველ რიგში დაკავშირებულია იესო ქრისტესა და ქართველ წამებულთა – შუშანიკის, ქეთევანის, აბოს – სახელებთან. 2007 წლისთვის ამგვარი ასოციაციების წილი 4-ჯერ, 0,5%-მდე, შემცირდა. 2011 წლისთვის მათი წილი 5%-მდე გაიზარდა ეს მაჩვენებელიც სავარაუდოდ დაკავშირებულია რელიგიური თემატიკის აქტუალობით ბოლო წლებში.

2003 და 2007 წლებში გამოკითხულთა დაახლოებით 12%-სთვის წამება ასოცირდებოდა ისეთ ინსტიტუტებთან, როგორიცაა პოლიცია, ციხე. თუმცა 2003 წელს „წამება“ პირველ რიგში პოლიციასთან ასოცირდებოდა, 2007 წელს კი ძირითადად „ციხესთან“. 2011 წელს მდგომარეობა შეიცვალა და პოლიციასთან „წამებას“ აკავშირებს მხოლოდ 0,9%, ხოლო ციხესთან 4,3%. 2011 წელს „წამებასთან“ დაკავშირებით გაჩნდა წარსულის კონკრეტულ პერიოდთან დაკავშირებული ასოციაციები, როგორიცაა „ინკვიზიციის პერიოდი“, „საბჭოთა კავშირი“, „90-იანი წლები“, „საკონცენტრაციო ბანაკების პერიოდი“. რესპონდენტებს აგრეთვე გაუჩნდათ წამების კონკრეტულ მეთოდებთან და ფორმებთან დაკავიშრებული ასოციაციები (გაუპატიურება, ლინჩის წესით გასამართლება, ჰიტლერი, გოგირდმჟავა, სარდაფები / ტყვიები / იარაღები).

2007და 2011 წლებში, რესპონდენტების შესაბამისად 2% და 2,8%-მა თქვა, რომ სიტყვა „წამების“ გაგონებაზე წამების კონკრეტული შემთხვევები, პირველ რიგში გირგვლიანის შემთხვევა ახსენდებათ. აღსანიშნავია, რომ გაჩნდა ასოციაციები, რომელიც დაკავშირებულია არსებულ ხელისუფლებასთან - „სააკაშვილის / მერაბიშვილის მთავრობა“ (0,5%).

რესპონდენტთა აზრით, წამების შემთხვევათა რიცხვი საქართველოში შემცირებულია. თუ 2003 წელს რესპონდენტების 9% ამბობდა, რომ წამების შემთხვევათა რიცხვი საქართველოში კლებულობს, 2007-ში მათი წილი გაიზარდა 30%-მდე, 2011-ში კი 55%-მდე. 2011 წელს მხოლოდ 18% თვლის, რომ წამების შემთხვევები იზრდება. 2011 წელს რესპონდენტების მხოლოდ 2,1%-მა (17 რესპონდენტი) აღნიშნა, რომ იცოდა გასული 2 წლის განმავლობაში მომხდარი წამების კონკრეტული შემთხვევის შესახებ, 8%-მა კი თავი შეიკავა პასუხისგან.
უდაო ფაქტია, რომ წამების შემთხვევების რიცხვი თბილისში მცირდება. 2011 წელს გამოკითხულთაგან არცერთმა არ აღნიშნა, რომ თავად იყო წამების მსხვერპლი, 0,2%-მა კი აღიარა, რომ მისი ოჯახის წევრი იყო წამების მსხვერპლი.

ძალადობის რეალური და აღქმული სიხშირის შემცირების ფონზე საზოგადოება წლების განმავლობაში თანდათან უფრო ნაკლებად თვლის წამებასთან ბრძოლის საჭიროებას. სამივე კვლევის მონაცემებით მწამებელთა დასჯა / პასუხისგებაში მიცემა განიხილება როგორც წამებასთან ბრძოლის ყველაზე მისაღები მეთოდი. ასევე პრიორიტეტულად არის მიჩნეული წამების მსხვერპლთა სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება. 2003 წელს მსხვერპლის დამხარება (სამედიცინო, ფსიქოლოგიური, იურიდიული) ეფექტურ საშუალებად მიაჩნდა 33%-ს, 2007 წელს 42%-ს, ხოლო 2011-ში 30%-ს. შემდეგი პრიორიტეტია საზოგადოების უკეთ ინფორმირება წამების შემთხვევებისა და ადამიანის უფლებების შესახებ. „ძალოვან სტრუქტურებში პროფესიონალიზმის ზრდა“ და „ხელფასების ზრდა“ განიხილება ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვან პრიორიტეტად.

2.1. ზოგადი სოციო-ეკონომიკური კონტექსტი

Q1. თქვენი აზრით, ზოგადად როგორია დღეს სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში?

Q2. თქვენი აზრით, როგორ იცვლება დღეს სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში?

კვლევის პირველი კითხვები გამოხატავს რესპონდენტთა დამოკიდებულებას ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ და მისი განვითარების ტენდენციის შეფასებას. სურათი 1 და სურათი 2 წარმოგვიდგენენ შესაბამის კითხვებზე პასუხების შედარებას 2003, 2007 და 2011 წლებისთვის.

სურათი 1:ზოგადი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა



2003 წლის ოქტომბერში თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ზოგად სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას აღიქვამდა როგორც ძალიან ცუდს. თუ 2003 წელს სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას ქვეყანაში გამოკითხულთა 90% უარყოფითად აფასებდა 2007 და 2011 წელს ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვანი კლება შეიმჩნევა. 2007 წელს, საერთო ჯამში შეფასება „ცუდი“, ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას 71% მისცა, ხოლო 2011 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ 17%-ით შემცირდა და 54% შეადგინა და საზოგადოების შეფასება საშუალო მაჩვენებლისკენ გადაიხარა.

სურათი 2: ზოგადი სოციო-ეკონომიკური განვითარების ტენდენცია









2003 წლის ოქტომბერში თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 13% ფიქრობდა რომ მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. მიხედავად იმისა, რომ 2007 წელს, ოპტიმიზმის მაჩვენებელი მკვეთრად იყო გაზრდილი 2003 წელთან შედარებით, 2011 წელს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მაჩვენებელი მხოლოდ უმნიშვნელოდ არის მომატებული. ამ გარემოების ახსნა შესაძლებელია ორი ძირითადი ფაქტორით: 1) 2008 წელს განვითარებული მოვლენებით, რომელმაც დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას და 2) მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით, რომელიც 2008 წლიდან დღემდე იგრძნობა ქვეყანაში. თუ ამ ორ ფაქტორს გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილი შედეგები კიდევ უფრო ოპტიმისტურ ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან ჰიპოტეტურად მათი გავლენა ბევრად მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო.

სქესი. თუ 2007 წელს, ქალები უფრო ნეგატიურნი არიან შეფასებებში, ვიდრე მამაკაცები, 2011 წელს 2003 წლის მსგავსად, ქალები და მამაკაცები ერთნაირად აფასებდნენ მდგომარეობას და განვითარების ტენდენციას.

ასაკი. სამივე კვლევის მონაცემების თანახმად, ახალგაზრდები უფრო პოზიტიურები და ოპტიმისტურები არიან, ვიდრე ასაკოვანი რესპონდენტები, 2011 წლის მონაცემების მიხედვით 18-25 წლამდე ახალგაზრდების 59,4% პასუხობს, რომ მდგომარეობა უმჯობესდება.

შემოსავალი. 2003 წელს, შედარებით მაღალშემოსავლიანი ფენა ისევე აფასებდა მდგომარეობას, როგორც დაბალშემოსავლიანი რესპონდენტები. 2007 და 2011 წელს რესპონდენტთა მაღალშემოსავლიანი ფენა შედარებით უფრო პოზიტიური და ოპტიმისტურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ 2007 წელს რესპონდენტთა ოჯახის საშუალო შემოსავალი 384 ლარს შეადგენდა, 2011 წლის მონაცემების მიხედვით შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი 722 ლარია. აღანიშნავია ისიც, რომ პირადი შემოსავლების საშუალო მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა 2007-დან 2011 წლამდე. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად სამივე კვლევაში პრობლემათა ჩამონათვალში უმუშევრობის ნომერ პირველად პრობლემად დასახელებისა, ქვეყანაში დასაქმების პრობლემა ნელ-ნელა გვარდება. თუ ოჯახში შემოსავლის შემომტანთა საერთო რაოდენობა 2007 წლის კვლევაში იყო 995, 2011 წლის მონაცემების მიხედვით შემოსავლის შემომტანთა საერთო რაოდენობამ 1195 ადამიანი შეადგინა, ანუ გაიზარდა დასაქმებულთა რიცხვი ოჯახებში.

Q3. თქვენი აზრით, რომელი პრობლემებია საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი და რომელი ნაკლებად? … პრობლემების ჩამონათვალი

Q4. თქვენი აზრით, როგორ იცვლება დღეს მდგომარეობა საქართველოში, შემდეგ პრობლემებთან დაკავშირებით? … პრობლემების ჩამონათვალი

რესპონდენტები აფასებდნენ საქართველოს წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემების *სიმწვავეს* (მნიშვნელობას)[2] . გარდა ამისა, მათ ვთხოვდით შეეფასებინათ ამ პრობლემების მოგვარების *ტენდენციებიც*. სურათი 3 და სურათი 4 ასახავენ შესაბამის პასუხებს.

სურათი 3: პრობლემების *სიმწვავე*





შენიშვნა: შეფასება ხდებოდა 3 ბალიან შკალაზე

[2] პრობლემათა ნუსხა შედგა GCRT-ის თანამშრომლებთან კონსულტაციით და იმეორებს 2003 და 2007 წლების ნუსხას.

სურათი 4: პრობლემური *ტენდენციები*



შენიშვნა: შეფასება ხდებოდა 3 ბალიან შკალაზე

თუ შევადარებთ სამივე კვლევის (2003,2007,2011წწ.) მონაცემებს, ვნახავთ, რომ 2011 წელს პრობლემების სიმწვავის შეფასების სიხშირეები შემცირებულია და გადანაცვლებულია შეფასებისკენ „არ იცვლება“. საერთო ჯამში, გარდა პირველი ორი პრობლემის (უმუშევრობა და ოკუპირებული ტერიტორიები) შეფასებისა, პრობლემათა სიმწვავის აღქმა შემცირებულია. თუ ზოგად ტენდენციებზე ვიმსჯელებთ, 2007 და 2011 წლის მონაცემები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, სიმწვავეც და პრობლემის მოგვარების ტენდენციებიც დადებითი მნიშვნელობისკენ არის გადახრილი

კვლევის სამივე ტალღის მონაცემების მიხედვით (2003,2007,2011 წელი), უმუშევრობა აღიქმება ქვეყნის ყველაზე მწვავე პრობლემად. ბუნებრივია, რომ აგვისტოს მოვლენების შემდგომ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემამ 2007 წლის მონაცემებისგან განსხვავებით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ, 2011-ში ჩატარებული კვლევის შედეგებში სოციო-ეკონომიკური სიტუაციის შეფასებისას დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა, პრობლემების სიმწვავის შეფასებისას, პირველ სამეულში მაინც რჩება დაბალი შემოსავლები, უსახლკაროთა არსებობა და სოციალური უსაფრთხოების დაბალი დონე. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეწარმეობის განვითარება, რომელიც კავშირშია დასაქმების მაჩვენებლებთან, 2011 წლის მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისკენაა წასული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველაზე მწვავე პრობლემების ჩამონათვალში „ზოგადი აგრესია“ ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას: 2003 წელს მე-16-ე ადგილი, 2007 წელს მე-11-ე, 2011 წელს მე-6-ე ადგილი ჩამონათვალში.

მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები (*აფხაზეთი და ოსეთი*) კვლავაც რჩება საზოგადოებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სადარდებლად. 2003-ში რესპონდენტების უმეტესობა თვლიდა, რომ ეს პრობლემა გაყინულია – მხოლოდ 3% თვლიდა, რომ ამ პრობლემების თანდათან მოგვარება ხდება. 2007 წელს ოპტიმისტების რაოდენობა 9%-მდე გაიზარდა, 2011 წელს ოპტიმისტთა რაოდენობამ კი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც დაიკლო (7%), ხოლო საერთო ჯამში, მიუხედავად 2008 წელს განვითარებული მოვლენებისა, მოსახლეობის განწყობა მკვეთრად არ არის შეცვლილი 2007 წელთან შედარებით.

სურათი 5 წარმოგვიდგენს 2007 და 2011 წლის ტენდენციების საშუალო მაჩვენებლების შედარებას „-1,+1“ შკალაზე. თუ 2007 წელს ყველა პრობლემის მოგვარების ტენდენცია უარყოფითი იყო, 2011 წლისთვის უარყოფითი ტენდენცია შენარჩუნებული აქვს მხოლოდ 5 პრობლემას. „ოკუპირებული ტერიტორიები“, „დაბალი შემოსავლები“, „ზოგადი აგრესია“, „უმუშევრობა“ და „უსახლკაროები“.

სურათი 5. 2007 და 2011 წლის ტენდენციების შედარება პრობლემების მიხედვით



შენიშვნა: შეფასებები გადატანილი იქნა 3 ბალიან შკალაზე -1 უარესდება, 0 არ იცვლება, +1 გვარდება

Error! Reference source not found.. წარმოგვიდგენს კონკრეტული პრობლემების *სიმძაფრის* და შესაბამისი *ტენდენციების* საერთო რუკას.[3] 2011 წლის ზოგადი სურათი საკმაოდ განსხვავებულია 2007 წლის მდგომარეობისგან. 2007 წელს პრობლემების სიმწვავეც და მათი მოგვარების ტენდენციაც უარყოფითი იყო, ხოლო 2011 წელს მიუხედავად იმისა, რომ პრობლემების სიმწვავის შეფასება უარყოფითი მაჩვენებლებისკენ არის გადახრილი, მათი მოგვარების ტენდენციები უმეტესად დადებითია.

სურათი 6. პრობლემის *სიმწვავე* და *ტენდენცია*



შენიშვნა: შეფასება ხდებოდა 3-ქულიან სკალებზე (სიმწვავე: -1-დაბალი, 0-საშუალო, 1-მაღალი; ტენდენცია: -1-უარესდება, 0-არ იცვლება, 1-უმჯობესდება). გრაფიკებში გამოყენებულია შეფასებების საშუალო მნიშვნელობები

[3] კოორდინატებად გამოყენებულია შესაბამისი შეფასებების საშუალო ქულები

2003 წელს, პრაქტიკულად ყველა დასახელებულ სფეროში, გარდა *კულტურისა,* ტენდენციის საშუალო შეფასება უარყოფითი იყო. 2007 წელს, საშუალოდ უკვე ოთხი სფერო აღიქმება როგორც გაუმჯობესების პროცესში მყოფი *(ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, კრიმინალური მდგომარობა, საგარეო ურთიერთობები*). 2011 წელს ყველა პრობლემის გაუმჯობესების ტენდენცია თვალშისაცემია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება სიტუაციას ობიექტურად აფასებს და ასახელებს მისთვის ყველაზე მწვავე პრობლემებს, ასევე ხედავს მათი გაუმჯობესების ტენდენციებსაც.

სქესი. 2003 და 2007 წელს ქალები შედარებით მწვავედ აღიქვამდნენ პრობლემებს, ვიდრე კაცები და დადებით ტენდენციებსაც ნაკლებად ხედავდნენ, 2011 წელს კი კაცები უფრო მწვავედ აღიქვამენ პრობლემებსაც და მათი მოგვარების ტენდენციების შეფასებისასც უფრო თავშეკავებულნი არიან. 2011 წლის კვლევის მიხედვით, პრობლემური სფეროები რომლებიც მამაკაცებს უფრო აწუხებთ არის: შიდა პოლიტიკა, დაუხვეწავი კანონმდებლობა, სასამართლო, მეწარმეობის განუვითარებლობა, საზოგადოების დაბალი ჩართულობა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კანონის უზენაესობა, საერთაშორისო ურთიერთობების მოუგვარებლობა. ტენცდენციების შეფასებაში ქალები მამაკაცებზე უფრო უარყოფითები არიან, როდესაც საუბარია *აგრესიაზე,* უმუშევრობასა და ოკუპირეული ტერიტორიების პრობლემის მოგვარებაზე.

ასაკი. უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის, ისევე როგორც 2007 წლის მონაცემების მიხედვით, უფრო მძაფრია ჯანდაცვის და სოციალურ დაცვის პრობლემები. გარდა ამისა, რაც უფრო მეტია რესპონდენტების ასაკი, მით უფრო მწვავედ აღიქვამენ ისინი საზოგადოებაში არსებულ აგრესიას, დემოკრატიის დაბალ დონეს, პრობლემებს კანონმდებლობაში, კანონის უზენაესობის პრობლემას და საკუთრების დაუცველობას. ამ უკანასკნელი პრობლემების მიმართ უფროსი ასაკის რესპონდენტების დამოკიდებულება შესაძლებელია აიხსნას მათი გამოცდილებით და უშუალო შეხებით აღნიშნულ პრობლემებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა რესპონდენტებს უფრო მეტად აწუხებთ გარემოს დაბინძურების პრობლემები, საზოგადოების დაბალი ჩართულობა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და შიდა პოლიტიკური პრობლემების მოუგვარებლობა. პრობლემების შეფასების ტენდენციებში ახალგაზრდა ასაკის რესპონდენტები უფრო ოპტიმისტები არიან, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტები.

შემოსავალი. 2007 წელს რაც უფრო მაღალი იყო რესპონდენტის შემოსავალი, მით უფრო დაბალი იყო პრობლემის სიმწვავის შეფასება და პოზიტიური განვითარების ტენდენციის აღქმა. 2011 წელს მაღალშემოსავლიანი რესპონდენტებიც ისევე მწვავედ აღიქვამენ პრობლემებს, როგორც დაბალი შემოსავლების მქონენი და რიგი პრობლემების აღქმაში უფრო რადიკალურებიც არიან. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ პრობლემურ თემებს როგორიცაა *საერთაშორისო ურთიერთობების მოუგვარებლობა, საკუთრების დაცვა, დაუსჯელობის სინდრომი , დემოკრატიის დაბალი დონე, არაეფექტური სასამართლო და გარემოს დაბინძურება.* რაც შეეხება პოზიტიური ტენდენციის აღქმას 2007 წლის მსგავსად, რაც უფრო მაღალშემოსავლიანია მოსახლეობა, მით უფრო მეტად თვლის, რომ პრობლემები გვარდება.

2.2. ადამიანის უფლებები: მდგომარეობა, გაცნობიერებულობა

Q5. ქვემოთმოყვანილიდან რომელ გამონათქვამს უფრო ეთანხმებით?

ყველა ადამიანს დაბადებიდან გააჩნია გარკვეული უფლებები. სახელმწიფოს ვალია ამ უფლებების დაცვა

ყველა ადამიანის უფლებები უნდა განსაზღვროს სახელმწიფომ, ამ ადამიანის დამსახურების შესაბამისად.

2007 წლის კვლევიდან გამომდინარე, 2011 წელსაც შევეცადეთ შეგვეფასებინა საზოგადოების ზოგადი „ლიბერალ"/"კონფორმისტული" განაწილება, შეგვესწავლა „ადამიანის უფლებების" ცნების აღქმა რესპონდენტების მიერ, შეგვეფასებინა, რამდენად არის საზოგადოება ინფორმირებული „ადამიანის უფლებებთან" დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტების არსებობის შესახებ, და გაგვეზომა ზოგადი დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

სურათი 7 წარმოადგენს თბილისის მოსახლეობის "ლიბერალ"/"კონფორმისტულ" დაყოფას. 2003 კონფორმისტები (ვინც B ოფცია აირჩია) შეადგენენ მოსახლეობის ერთ მეექვსედს (17%-ს). 2007 წელს მათი რაოდენობა 10%-მდე შემცირდა. შესაბამისად, 63%-დან 70%-მდე გაიზარდა იმათი რაოდენობა, ვინც ცალსახად ეთანხმება პიროვნების უზენაესობას სახელმწიფოსთან მიმართებაში. 2011 წელს „კონფორმისტების" რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებულია და მან საზოგადოების მხოლოდ 7% შეადგინა, ხოლო იმ ადამიანების რაოდენობა, რომელმაც უპირატესობა სახელმწიფოსთან მიმართებაში პიროვნების უზენაესობას („ა" ოფციას) მიანიჭა 77%-მდე გაიზარდა. დაკლებულია იმ ადამიანთა რაოდენობაც, რომლებიც ორივე გამონათქვამს ეთანხმებიან (14%).

თუ დავუბრუნდებით წინა თავში განხილულ საკითხებს, A და B ჯგუფები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ზოგადი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში, თუმცა დაფიქსირდა განსხვავებები პრობლემების სიმწვავის აღქმაში. კერძოდ კონფორმისტები უფრო მწვავედ აღიქვამენ პრობლემებს, ვიდრე „ლიბერალები". განსაკუთრებით ეს ეხება ისეთი პრობლემების აღქმას, როგორიცაა: სოციალური დაცვა, საერთაშორისო ურთიერთობები, შიდპოლიტიკური ურთიერთობები, ოკუპირებული ტერიტორიები, უსახლკაროები. ასევე შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის მოგვარების ტენდენციების შეფასებაში „კონფორმისტები" უფრო თავშეკავებულნი არიან, ვიდრე „ლიბერალები".

- 2003 წელს, „ჯგუფ B"-სთვის ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 173 ლარი იყო, ხოლო „ჯგუფ A"-სი – 264 ლარი. 2007 წელს, ეს რიცხვებია, შესაბამისად 293 და 408 ლარი, ხოლო 2011 წელს „ჯგუფ B"-სთვის ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 533 ლარია, ხოლო „ჯგუფ A"-სი – 786 ლარი
- 2003 წელს, „ჯგუფ B"-ს საშუალო ასაკი 47.5 წელი იყო, ხოლო „ჯგუფ A"-სი – 41.5 წელი. 2007 წელს შესაბამისი ინდიკატორები, შესაბამისად, 48.3 და 42.2 წელია. 2011 წელს „ჯგუფ B"-ს საშუალო ასაკი 47.2 წელია, ხოლო „ჯგუფ A"-სი - 38,9 წელი

ასაკის ამგვარი დინამიკა 2003 წლიდან 2011 წლის მონაცემების მიხედვით გვაფიქრებინებს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკა გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულებებზე სახელმწიფოს როლის მიმართ და ახლგაზრდა თაობა უფრო მეტად იზიარებს ლიბერალურ ღირებულებებს.

სურათი 7:ვინ არის პირველი – ადამიანი თუ სახელმწიფო?







Q6. როდესაც გესმით გამოთქმა „ადამიანის უფლებები“, პირველ რიგში, რა მოგდით თავში?

კითხვარის ამ ნაწილში, რესპონდენტს ვთხოვდით „ადამიანის უფლებათა“ ცნებასთან დაკავშირებული პირველი ასოციაციების ჩამოთვლას. პირობითად, 2007 წელს ეს ასოციაციები დაყოფილი იქნა შემდეგ ვრცელ კატეგორიებად:

“ნეგატიური”: დაუცველობა, ძალადობრივი სახელმწიფო, ცუდი სახელმწიფო, სხვა ნეგატიური

“ნეიტრალური”: დაცვა, კანონის უზენაესობა, კონკრეტული უფლებები, სხვა ნეიტრალური

“პოზიტიური”: დაცულობა, თავისუფლება,წესიერი სახელმწიფო, სხვა პოზიტიური

2011 წელს შევინარჩუნეთ აღნიშნული დაყოფა და ასოციაციები გავაერთიანეთ ამ სამ ჯგუფში. მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური/ნეიტრალური/პოზიტიური დაყოფა ხელოვნურია, და არ უნდა იქნას გამოყენებული პასუხების ანალიზის დროს, ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მაინც შევეცადეთ წარმოგვედგინა ამ ტიპის დაყოფისას ასოციაციების განაწილება 2011 წლის მონაცემების მიხედვით, რომელიც გამოსახულია სურათზე 8. ეს სურათი იძლევა ადამიანის უფლებების მიმართ საზოგადოების ზოგადი დამოკიდებულების შესახებ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. კერძოდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადამიანის უფლებების ცნებასთან თანაბრად არის დაკავშირებულია უფლების დარღვევაც და დაცვაც.

სურათი 8. ასოციაციების განაწილება ვრცელ კატეგორიებში



სურათი 9:ასოციაციები „ადამიანის უფლებებთან“



გარდა ზემოთაღწერილის დაყოფისა, 2003 და 2007 წლის კვლევის ანალოგიურად ასოციაციები გაერთიანებული იყო უფრო მცირე ჯგუფებში. სურათი 10 ასახავს სამი წლის შედეგებს ამ დაყოფის მიხედვით.

თუ გავყვებით 2007 წლის მსჯელობას ჯგუფების შედარების შესახებ და გამოვყოფთ ჯგუფს, რომელმაც დაცულობა, დაუცველობა, დაცვა ახსენა ადამიანის უფლებების კონტექსტში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2007-დან და 2011 წლამდე შემცირებულია იმ ასოციაციების რაოდენობა, რომელიც დაცულობა/დაუცველობა დაცვასთან არის ასოცირებული. 2007 წლის მსჯელობა იხრებოდა იმ ვარაუდიკენ, რომ: „აღნიშნული ასოციაციების მატება საზოგადოების როგორც გაზრდილი *დაუცველობის* ისე გაზრდილი *დაცულობის* განცდის მანიშნებელი შეიძლება ყოფილიყო. თუმცა პირველი ახსნა უფრო მართებულად იქნა მიჩნეული, რადგან პოზიტიურ ცვლილებებს და განცდებს როგორც წესი ზოგადი ფონი სწრაფად შთანთქავს და ისინი აქტიურად აღარ მონაწილეობენ ადამიანის ცნობიერებაში, მაშინ როდესაც შიში, თუკი ის არსებობს, აქტიური და მუდმივმოქმედი ფაქტორია.“ 2011 წელს შევეცადეთ დაგვეკავშირებინა პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური დაყოფა უფრო მცირე დაყოფასთან და მივიღეთ, რომ „დაცულობა, დაუცველობა, დაცვა“-ში გაერთიანებული ასოციაციები უფრო მეტად ნეიტრალური კონტექსტისაა, ვიდრე ნეგატიურის ან პოზიტიურის, ნეგატიური და პოზიტიური ასოციაციები თანაბრად გვხვდება ამ ჯგუფში. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 2007 წელს არსებული შედეგის შესახებ მსჯელობა მართებული იყო, ამასთან თუ გავითვალისწინებთ წინა თავში განხილულ საკითხებს ქვეყანაში სოციალურ- ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისს ტენდენციებთან დაკავშირებით, დაცულობასთან დაკავშირებული ასოციაციების კონტექსტი ბუნებრივია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ასოციაციების რაოდენობამ 2011 წელთან შედარებით იმატა, მათი მნიშვნელობა ძირითადად ნეიტრალურია. ეს შედეგი იმეორებს 2007 წლის შედეგს კონტექსტის თვალსაზრისით, კერძოდ: სახელმწიფო ნაკლებად გამოდის *რეპრესორის* როლში, თუმცა საზოგადოებას უფრო მეტად აქვს მოთხოვნა მან *დამცველის* ფუნქცია უკეთ შეასრულოს;

ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ 2011 წელს მეტია იმ ასოციაციების რაოდენობა, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლებასთან და კონკრეტული უფლებების დაცვასთან. აღსანიშნავია, რომ ის ჯგუფი, რომელთაც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით თავისუფლების ასოციაცია აქვთ, სხვა ჯგუფთან შედარებით უფრო ხშირად ასახელებს კონკრეტულ უფლებებს. (სიტყვის თავისუფლება, აზრის გამოთქმის უფლება, სიცოცხლის უფლება და ა.შ.)

Q7. თქვენი აზრით არსებობს თუ არა ქართული ან საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტი რომელიც არეგულირებს ადამიანის უფლებების დაცვას?

რესპონდენტებს ვთხოვდით ეპასუხათ, თუ იცნობდნენ რაიმე ქართულ ან საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტებს, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასთან არის პირდაპირ დაკავშირებული. სურათი 10. ასახავს კითხვაზე პასუხების განაწილებას და სამი წლის შედეგების შედარებას.

სურათი 10. ინფორმირებულობა საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტების შესახებ , რომელიც არეგულირებს ადამინის უფლებების დაცვას (2003,2007,2011 წლები)



როგორც სურათი 10. ჩანს, 2003 და 2007 წელთან შედარებით დაკლებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც დანამდვილებით იციან, რომ არსებობს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ქართული თუ საერთაშორისო დოკუმენტაცია. მონაცემების ამგვარი განაწილება წლების მიხედვით გვაფიქრებინებს, რომ 2003 და 2007 წლებში უფრო აქტუალური იყო თავად თემა და 2011 წლისთვის მისი აქტუალობა შემცირებულია. ეს შესაძლებელია აიხსნას ორი მიზეზით: 1) 2003 და 2007 წლებში საზოგადოების ინფორმირება ამ მიმართულებით მეტად ინტენსიური იყო 2) 2003 და 2007 წლებში უფრო მეტად ირღვეოდა ადამიანის უფლებები და საზოგადოება მეტად იყო გათვითცნობიერებული იმ იურიდიული დოკუმენტების შესახებ, რომელიც არეგულირებს ადამიანის უფლებების დაცვას.

როგორც 2003-ში და 2007-ში ასევე 2011-ში მათ დიდ წილს ვინც დადებითად პასუხობდა კითხვას, საკმაოდ უჭირდა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული დოკუმენტების დასახელება. თუმცა, გაცნობიერებულობის ხარისხის გარკვეული ზრდა (მისი დეტალიზაცია) მაინც შეინიშნება როგორც 2007-ში ასევე 2011-ში. 2003 წელს, კონკრეტული დოკუმენტების შესახაბ კითხვაზე ყველაზე გავრცელებული პასუხების იყო *გაეროს დეკლარაცია* (7%) და *საქართველოს კონსტიტუცია* (8%). 2007 და 2011 წელს, რესპონდენტების გარკვეულმა ნაწილმა დაასახელა *საერთაშორისო კონვენციები* (შესაბამისად 3% და 4%)

სურათი 11:„ადამიანის უფლებებთან“ დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტები





2007 წლის მსგავსად 2011 წელსაც მამაკაცები უფრო თამამად გვპასუხობდნენ „დიახ“, ვიდრე ქალები. უკანასკნელნი უფრო მეტად ამჯობინებდნენ „ალბათ“ პასუხს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპონდენტების უფრო მეტი ნაწილი პასუხობს, რომ არსებობს „ადამიანის უფლებებთან“ დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტები, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტები, თუმცა კონკრეტული დოკუმენტის დასახელებისას ასაკობივ ჯგუფებს შორის განსხვავებები არ გამოვლენილა.

Q8. საქართველოს წინაშე მდგარი ქვემოთმოყვანილი პრობლემებიდან, თქვენი აზრით, რომელია მეტად დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევასთან, და რომელი ნაკლებად?

ჩვენ შევეცადეთ დაგვეკონკრეტებინა რა პრობლემებს აკავშირებენ რესპონდენტები „ადამიანის უფლებასთან“. ამ მიზნით შევეცადეთ დაგვეკავშირებინა „ადამიანის უფლებების“ ცნება ზემოთ აღწერილ ზოგად სოციო-ეკონომიკურ პრობლემებთან.[4] სურათი 1212 გვიჩვენებს პასუხების განაწილებას.

[4] კავშირის შეფასება მოხდა 3-დანაყოფიან სკალაზე (1/2/3/) რომელიც შეესაბამება შემდეგ მნიშვნელობებს (სუსტი კავშირი / საშუალო კავშირი / ძლიერი კავშირი).

სურათი 12: სოციო-ეკონომიკური პრობლემების კავშირი „ადამიანის უფლებებთან“



2007 და 2011 წლის კვლევის მონაცემები ამ კითხვის მიხედვით უფრო მსგავსია, ვიდრე 2003 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები. ისევე, როგორც 2007 წელს პრობლემური სფეროების ჩამონათვალის ოთხეულს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან წარმოადგენს საკუთრება, კანონის უზენაესობა, სასამართლო, უსახლკაროების არსებობა. 2007 და 2011 წლის პრობელემური სფეროების ინტენსივობას თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ შემცირებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც პრობლემურ სფეროებს აღიქვამს ადამიანის უფლებების დარღვევასთან პირდაპირ კავშირში და გაზრდილია მათი რიცხვი, ვინც ამბობს, რომ ნაწილობრივ არის კავშირში ადამიანის უფლებებთან ესა თუ ის პრობლემა.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ 2003 წელს საზოგადოება ადამიანის უფლებებს განიხილავდა მოცემული მომენტისთვის აქტუალური პრობლემების ჭრილში და მათი პასუხები სწორედ პრობლემური სფეროების აღქმის ზეგავლენას განიცდის, თუ დავაკვირდებით წინა თავში აღწერილი პრობლემური სფეროების ჩამონათვალს (სურათი 3)

სურათი 12-ზე მოცემულ 2003 წლის მონაცემებთან გარკვეულ მსგავსებას დავინახავთ. 2007 და 2011 წლებში ადამიანის უფლებებთან საზოგადოება უფრო მეტად აკავშირებს იმ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი და სახლმწიფო ინსტიტუტების საშუალებით.

ყურადღება გასამახვილებელია იმ გარემოებაზე, რომ 2007 წელთან შედარებით, დაბალი შემოსავლების პრობლემა, 2011 წელს ბევრად ნაკლებად აღიქმება ადამიანის უფლებების დარღვევასთან კავშირში, რაც იმის მანიშნებელია, რომ დღეს საზოგადოება უფრო ლიბერალურია და ადექვატურად აღიქვამს სახელმწიფოს როლის შემცირებას სხვადასხვა სამეწარმეო, თუ შრომით ურთიერთობებში.

გვინდა სპეციალურად გამოვყოთ ორი პრობლემა „სახელმწიფოს დამოკიდებულება მოწყვლადი ჯგუფების მიმართ“ და „საზოგადოების დამოკიდებულება მოწყვლადი ჯგუფების მიმართ“, ამ საკითხების შესახებ 2003 და 2007 წელს არ გვაქვს საზოგადოების დამოკიდებულება ნაკვლევი. ეს ცნებები 2011 წელს პირველად იქნა შემოტანილი. საზოგადოება აღნიშნულ პრობლემებს მწვავედ არ აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემებიც ინსტიტუციების საშუალებით არის გადასაწყვეტი, მაინც არ მოხვდა ადამიანის უფლებების დარღვევასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულთა რიგებში.

Q9. სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულად აფასებს ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მდგომარეობას. მე დავასახელებ ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს , ხოლო თქვენ მითხარით, თქვენი აზრით, როგორ ექცევა მათ დღეს საზოგადოება.

კვლევის ინტერესს წარმოადგენდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულების დადგენა. სურათი 13 წარმოდგენილია ამ დამოკიდებულებების დინამიკა წლების მიხედვით.

სურათი 13: საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიმართ





შენიშვნა: შეფასება მოხდა 3-დანაყოფიან სკალაზე (1-დისკრიმინაციას განიცდიან, ესაჭიროებათ დაცვა; 2-ესაჭიროებათ დახმარება, 3-საზოგადოება მათ წესიერად ექცევა, 4-ზედმეტი შეღავათები აქვთ; 5 საზოგადოება მათ ანებივრებს)

სურათი 14: სხვადასხვა სოციალური ჯგუფები - მდგომარეობის შეფასება და აზრთა სხვადასხვაობა





შენიშვნა: შეფასება მოხდა 3-დანაყოფიან სკალაზე (1-დისკრიმინაციას განიცდიან, ესაჭიროებათ დაცვა; 2-ესაჭიროებათ დახმარება, 3-საზოგადოება მათ წესიერად ექცევა, 4-ზედმეტი შეღავათები აქვთ; 5-საზოგადოება მათ ანებივრებს). გრაფიკზე კოორდინატებად გამოყენებულია შესაბამისი ჯგუფის საშუალო ქულა და დისპერსია

2011 წლის მონაცემები სოციალური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით განსხვავდება 2003 და 2007 წლის მონაცემებისგან. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება უფრო ტოლერანტული გახდა 2003 წელთან შედარებით, მაინც შეინიშნება სხვადასხვა ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების მკვეთრი ცვლილება 2007 წელთან შედარებით. ეს მსჯელობა განსაკუთრებით ეხება სოციალურ ჯგუფს „სექსუალური უმცირესობები“. 2003 და 2007 წელს დაახლოებისთ მეათედი ამბობდა რომ „სექსუალური უმცირესობები“ არიან დისკრიმინირებულნი. 2011 წლისთვის ეს მონაცემი 3,5-ჯერ გაიზარდა და 35,7% შეადგინა. ასევე მომატებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ამ ჯგუფს დახმარება სჭირდება. 2007 წელს ასეთ რესპონდენტთა რაოდენობა 10%-ს შეადგენდა, ხოლო 2011 წელს მათი რიცხვი 14,6%-მდე არის გაზრდილი. ასეთი შედეგი საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიით უნდა აიხსნას. აქვე უნდა უნდა აღვნიშნოთ, რომ 2007 წელს საზოგადოება უბრალოდ არ ლაპარაკობდა ამ თემაზე, 2007 წელს ამ კითხვაზე პასუხისგან რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედმა (26,6%) თავი შეიკავა. ამიტომ არსებული შედეგების ინტერპრეტაცია შესაძლებელია იმ მიმართულებით, რომ დღეს საზოგადოება აღარ არიდებს თავს პრობლემაზე საუბარს, აღიქვამს ამ დამოკიდებულებას ადექვატურად, რაც პრობლემის მოგვარების მზაობას აფიქსირებს. ანალოგიური მსჯელობა შეიძლება მცირე რელიგიური ჯგუფების მიმართაც. 2011 წელს რესპონდენტთა მეტი რაოდენობა თვლის, რომ ისინი დისკრიმინირებულები არიან.

იმისათვის რომ ნათლად წარმოგვედგინა 2007 და 2011 წლის მონაცემები, შეფასებები გადავიტანეთ შკალაზე -2-დან 2-მდე (სადაც -2 ნიშნავს დისკრიმინირეულები არიან, -1 დახმარებას საჭიროებენ, 0 - საზოგადოება მათ ნორმალურად ექცევა, 1 ზედმეტი შეღავათები აქვთ და 2 საზოგადოება მათ ანებივრებს) საშუალოების შედარებისას კარგად ჩანს 2011 წლის დამოკიდებულების ცვლილება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

სურათი 15. საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილება 2007-2011 წლებში (საშუალოთა შედარება)



შენიშვნა: შეფასება მოხდა 5 ბალიან მკალაზე სადაც -2 ნიშნავს დისკრიმინირეულები არიან, -1 დახმარებას საჭიროებენ, 0 - საზოგადოება მათ ნორმალურად ექცევა, 1 ზედმერი შეღავათები აქვთ და 2 საზოგადოება მათ ანებივრებს

როგორც სურათი 15. ჩანს, ყველაზე დიდ მხარდაჭერას, როგორც 2007 ასევე 2011 წელის მონაცემების მიხედვით საჭიროებენ ადამიანები ფიზიკური და გონებრივი ნაკლით, უსახლკაროები, უსახლკარო და უმწეო ადამიანები. თუ საზოგადოების დიდი ნაწილი თანხმდებოდა 2007 წელს, რომ *ქალებს, ბავშვებს* და *ახალგაზრდებს* აგრეთვე სჭირდებათ განსაკუთრებული სოციალური დახმარება, 2011 წელს საზოგადოების უფრო მცირე ნაწილი თვლის, რომ ამ ჯგუფს სჭირდება დახმარება.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ საკითხზე, რომელიც აფხაზეთითად დევნილების მიმართ დამოკიდებულებას ეხება. 2007 წელს მოსახლეობის უმეტესობა თვლიდა, რომ მათ დაცვა ან დახმარება სჭირდებათ, თუმცა წელს ამ მაჩვენებლების კლება აღინიშნება, რაც ორი გარემოებით შეიძლება აიხსნას 1) 2007 წელს ჯერ კიდევ არ არსებობდნენ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დევნილები და საზოგადოების ყურადღება მხოლოდ 90-იანი წლებში დევნილებისკენ იყო მიმართული და 2) 2007 წელს ჩატარებული კვლევა ემთხვევა დევნილთა გამოსახლების პირველი ტალღას და თემა საზოგადოებისთვის აქტუალური იყო.

2007 წელს *ნარკომანები, სექსუალური უმცირესობები* და *მცირე რელიგიური უმცირესობები* ერთმანეთის მსგავს ჯგუფებად განიხილებოდნენ და მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მაქსიმალურად პოლარიზებული იყო. ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ეს ჯგუფები დისკრიმინირებულნი იყვნენ და დაცვას საჭიროებდნენ, მეორე ნაწილის აზრით კი საზოგადოება მათ წესიერად ექცეოდა ან სულაც ზედმეტ შეღავათს აძლევდა. 2011 წელს ნარკომანები განიხილებიან ისეთივე მოწყვლად ჯგუფად, როგორიცაა უსახლკაროები, გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები და დაბალშემოსავლიანი ადამიანები, დღეს საზოგადოებისთვის ისინი აღიქმებიან ჯგუფად, რომელსაც პირველ რიგში დაცვა ან დახმარება ესაჭიროება.

*ქართველებ*ისა და *მართლმადიდებელი ქრისტიანების* მიმართაც მცვლილია დამოკიდებულება 2003 და 2007 წელთან შედარებით: თუ ადრე საზოგადოების ნახევარზე მეტი ამ ჯგუფებს განიხილავდა როგორც დახმარების და დაცვის საჭიროების მქონეს, 2011 წელს ეს მონაცემები მნიშვნელოვნად შემცირებულია და წინამდებარე კვლევის მიხედვით მხოლოდ მეხუთედი იზიარებს 2003 და 2007 წლის განწყობას.

2003, 2007 და 2011 წელს, როგორც ყველაზე მეტად განებივრებული ან შეღავათის მქონე ჯგუფებად *უცხოელები* და მდიდარი ოჯახები განიხილებიან. მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს უკანასკნელთა მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შერბილებულია, 2011 წელს უფრო მეტი განიხილავს მათ, როგორც განებივრებულს. განსაკუთრებით ეს ეხება უცხოელებს.

გამოვლინდა სანდო განსხვავებები სხვადასხვა ჯგუფებს შორის:

წინამდებარე თავში შევეცადეთ რესპონდენტები დაგვეჯგუფებინა „ლიბერალ"/ „კონფორმისტებად", საინტერესო იყო გამოგვევლინა არსებობდა თუ არა განსხვავებები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის შეფასებაში ამ დაყოფის

მიხედვით. როგორც აღმოჩნდა „ლიბერალები“, უფრო მგრძნობიარენი არიან უსახლკაროების, სექსუალური უმცირესობების, ახალგაზრდების, მოხუცების, ბავშვების მიმართ, ვიდრე „კონფორმისტები“.

ასევე აღმოჩნდა განსხვავებები სქესის მიხედვით. ქალები უფრო ტოლერანტულები არიან უსახლკაროების, ხანდაზმულების, ბავშვების, ქალებისა და ახალგაზრდების მიმართ, ვიდრე კაცები.

2011 წლის მონაცემებით რესპონდენტის ასაკიც მნიშვნელოვანი ფაქტორია გარკვეული ჯგუფების მიმართ მისი დამოკიდებულების პროგნოზირებისთვის. 2003, 2007 წელს, მცირე რელიგიური ჯგუფების მიმართ ახალგაზრდები უფრო ტოლერანტულები არიან ვიდრე ასაკოვანი რესპონდენტები. 2011 წლის მონაცემების მიხედვით შენარჩუნებულია განსხვავებები იმ დამატებით, რომ 2011 წელს ახალგაზრდა (18-25 წლამდე) რესპონდენტები უფრო ტოლერანტულები არიან სექსუალური უმცირესობების მიმართ და ნაკლებად თვლიან, რომ მართლმადიდებლებს დახმარება ან დაცვა სჭირდებათ.

რესპონდენტთა მატერიალური კეთილდღეობის დონე გარკვეულ გავლენას ახდენდა 2003 წლის შეფასებებზე და რაც უფრო დაბალი იყო რესპონდენტის ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა, მით უფრო მომხრე იყო ის ღარიბი ოჯახებისთვის დახმარებისა. 2007 და 2011 წლისთვის ეს ფაქტორი აღარ შეინიშნება. ეს ზოგადი ტენდენცია შეინიშნება სხვა ჯგუფებთან დამოკიდებულებაშიც.

2.3. ძალადობა და დამცირება საზოგადოებაში

q10, q11, q12 შეგიძლიათ გაიხსენოთ, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, ადამიანის ძლიერ დამცირების რაიმე კონკრეტული შემთხვევა...?

q13, q14, q15 თქვენ პირადად, უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, გამოგიცდიათ თუ არა დამცირება?

კითხვარის ამ ნაწილში რესპონდენტები იხსენებდნენ ადამიანის მორალური და ფიზიკური დამცირების ფაქტებს და მოტივებს. სურათი 16 და სურათი 17ასახავს გაერთიანებულ შედეგებს.

2003 წელს, რესპონდენტების 48%-მა (მორალური დამცირება) და 14%-მა (ფიზიკური დამცირება) იცოდა შეურაცხყოფის ამგვარი შემთხვევის შესახებ. ხოლო 31%-მა და 1.6%-მა აღნიშნა, რომ ამათუიმ ნიშნის გამო (ეკონომიკური მდგომაროება, ეროვნება, რელიგია . .) თავად იყო, შესაბამისად, მორალური ან ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი.

2007 წელს, მხოლოდ 17%-მა (მორალურიდამცირება) და 4%-მა (ფიზიკურიდამცირება) გვიპასუხა, რომ იცოდა ასეთი შემთხვევის შესახებ. ამასთან, მხოლოდ 9%-მა (მორალური დამცირება) და 0.5%-მა (ფიზიკურიდამცირება) აღიარა, რომ უახლოეს წარსულში თავად იყო ასეთი დამცირების მსხვერპლი.

2011 წლის მონაცემებით, ამათუიმ მიზეზით (ეკონომიკური, სქესი, პოლიტიკური შეხედულებები ...) და კერძო ურთიერთობებში დამცირების შემთხვევების გახსენება მომატებულია 2007 წელთან შედარებით, ხოლო მცირედით შემცირებულია სახელმწიფოსთან მხრიდან როგორც ფიზიკური, ისე მორალური დამცირების შემთხვევების გახსენება.

იმ შემთხვევაში, როცა რესპონდენტები საკუთარ თავზე გადამხდარ დამცირებაზე პასუხობდნენ, მიღებული მონაცემები განსხვავებულია. სახელმწიფოს მხრიდან დამცირების შემთხვევების გახსენების მაჩვენებელი მცირედით გაზრდილია, ხოლო კერძო ურთიერთობებში, ამათუ იმ მიზეზით დამცირების ფაქტების გახსენების მაჩვენებელი 2003 და 2007 წლებთან შედარებით შემცირებული.

სურათი 16: ძლიერი დამცირება: 3-ე მხარე







სურათი 17: ძლიერი დამცირება: რესპონდენტი



Q10. უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ რაიმე კონკრეტული შემთხვევა ადამიანის ძლიერ დამცირებისა რომელიმე ქვემოთჩამოთვლილი ნიშნის მიხედვით?...
.....ფაქტორების ჩამონათვალი

Q13. თქვენ პირადად, უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, გამოგიცდიათ თუ არა დამცირება რომელიმე ქვემოთჩამოთვლილი ნიშნის მიხედვით?...
.....ფაქტორების ჩამონათვალი

პირველ რიგში, რესპონდენტებს ვთხოვდით გაეხსენებინათ, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, ადამიანის (მესამე მხარის) რაიმე ნიშნით (მაგ. ეროვნება, ასაკი, სქესი, ქცევა, და ა.შ.) მორალური ან ფიზიკური დამცირების კონკრეტული შემთხვევები. იგივე შეკითხვა ეძლეოდათ საკუთარ თავთან დაკავშირებით. 2011 წელს ჩატარებულ კვლევაში დამცირების გამომწვევ ფაქტორებს შორის დაემატა „სოციალური სტატუსი“, ხოლო პასუხი „ფიზიკური ნაკლი / გონებრივი შეზღუდვა“ დაიშალა ორ ვარიანტად, „ფიზიკური შეზღუდვა“, „გონებრივი / ფსიქიკური აშლილობა“.

სურათი 18 და სურათი 19 ასახავენ შესაბამის განაწილებებს.

სურათი 18: ძლიერი დამცირების გამომწვევი ფაქტორები: მესამე მხარე



სურათი 19: ძლიერი დამცირების გამომწვევი ფაქტორები: რესპონდენტი





ყველაზე ხშირად დამცირების გამომწვევ ფაქტორად გვევლინება ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა. სამივე კვლევის მონაცემებით ყველაზე ხშირად სწორედ ამ ნიშნით ხდება მოქალაქეების მორალური დამცირება.

2003 წელს, გამოკითხულთა 20%-მა გაიხსენა სიღარიბის გამო მორალური დამცირების სულ ცოტა ერთი კონკრეტული შემთხვევა, 5%-მა კი დაადასტურა, რომ თავად უგრძვნია თავი დამცირებულად მისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო. გარდა ამისა, დაახლოებით 6%-მა იცოდა ამ მოტივით ძლიერი ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევის შესახებ, ხოლო 7 ადამიანმა (0.9%-მა) აღნიშნა, რომ თავად იყვნენ ფიზიკური დამცირების მსხვერპლნი.

2007 წელს მიუხედავად იმისა, რომ მესამე მხარის მიერ განცდილი სიღარიბით გამოწვეული დამცირების შემთხვევების რიცხვი შემცირებულია 20%-დან 11%-მდე, თავად რესპონდენტის მიერ განცდილი სიღარიბით გამოწვეული დამცირების შემთხვევები გაზრდილია 5%-დან 7.3%-მდე.

2011 წელს ეკონომიკური ნიშნით მესამე მხარის დამცირების ფაქტების გახსენების მაჩვენებელი 2007 წლის მაჩვენებლის მსგავსია (1,7%-ით მატება არის ცდომილების ფარგლებში), თუმცა ამ ნიშნით საკუთარ თავზე განცდილი დამცირების ფაქტები 2011 წელს რესპოდენტების ძალიან მცირე ნაწილმა გაიხსენა (მორალური - 1,4%, ფიზიკური - 0%).

სიღარიბის გარდა 2003 წელს, *ეროვნება* და *მრწამსი* სახელდებოდა პიროვნული დამცირების გამომწვევ მნიშვნელოვანი ფაქტორებად. რესპონდენტთა 10-10%-მა გაიხსენა ეროვნული ან რელიგიური ნიშნით მორალურად ძლიერ დამცირების ახლახანს მომხდარი შემთხვევა. შესაბამისად, 1.8%-მა (14-მა რესპონდენტმა) და 4.5%-მა (36-მა რესპონდენტმა) გაიხსენა ფიზიკური ძალადობის შემთხვევა. გამოკითხულთა 1.9% (15 რესპონდენტი) და 1.4%-მა (11 რესპონდენტი) თავად იყო, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, შესაბამისად ეროვნული ან რელიგიური ნიშნის მიხედვით მორალური შეურაცხყოფის მსხვერპლი.

2007 წელს, რესპონდენტების მხოლოდ 2%-2%-მა (ორმოცდაათიში ერთმა) გვითხრა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე შეესწრო პიროვნების ძლიერი მორალური დამცირების შემთხვევას მისი *ეროვნების* ან *მრწამსის* გამო. მხოლოდ 0.5%-მა გაიხსენა ფიზიკური დამცირების შემთხვევა. რესპონდენტების 0.4%-მა (სამმა ადამიანმა) და 0.25% (ორმა ადამიანმა) აღიარა, რომ თავად იყვნენ ძლიერი მორალური დამცირების მსხვერპლნი, შესაბამისად, *ეროვნების* და *მრწამსის* გამო.

2011 წელს ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის გამო მორალური დამცირების ფაქტების გახსენების მაჩვენებელი გაზრდილია, თითქმის ყოველმა მეათემ (9,7%) გაიხსენა პიროვნების დამცირების ფაქტი მისი ეროვნების გამო, ხოლო 6%-მა მრწამსის გამო.

ისეთი ფაქტორების როლი, როგორიცაა ქცევა, გონებრივი/ფსიქიკური აშლილობა, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია, პოლიტიკური შეხედულებები, სოციალური სტატუსი შეურაცხყმყოფელი ქცევის პროვოცირებაში შედარებით დაბალია.

საინტერესოა, რომ *სქესი,* სამივე კვლევის მონაცემებით, ყველაზე უმნიშვნელო დისკრიმინაციული ფაქტორია.

Q11. უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ რაიმე კონკრეტული შემთხვევა ადამიანის დამცირებისა სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის დროს? ...

ჩამონათვალი

Q14. თქვენ პირადად, უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, გამოგიცდიათ თუ არა დამცირება სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის დროს? ...
ჩამონათვალი

შემდეგ რესპონდენტები იხსენებდნენ სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ პიროვნების შეურაცხმყოფელი ქცევის შემთხვევებს.

2003 წელს, საერთო ჯამში, რესპონდენტთა 43%-მა და 25%-მა იცოდა ახლოხანს მომხდარი, შესაბამისად, მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. გარდა ამისა, შესაბამისად, რესპონდენტთა 22.5% და 3.5% თავად იყო სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ამგვარი ქცევის მსხვერპლი.

2007 წელს, რესპონდენტთა მხოლოდ 13.5%-მა და 3.3%-მა იცოდნენ ახლოხანს მომხდარი, შესაბამისად, მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. გარდა ამისა, შესაბამისად, რესპონდენტთა 6% და 0.5% თავად იყო სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ამგვარი ქცევის მსხვერპლი.

2011 წელს, სახელმწიფოს მხრიდან ფიზიკური დამცირების ფაქტების გახსენების მაჩვენებელი მცირედით შემცირდა (9,9%), მორალური დამცირების გახსენების მაჩვენებელმა კი ოდნავ მოიმატა (5,9%), ასევე შემცირებულია თავად რესპონდენტების მიერ სახელმწიფო სტრუქტურებისგან განცდილი დამცირების მაჩვენებლები, როგორც მორალური (3,5%), ისე ფიზიკური (1%). თუმცა უნდა ითქვას, რომ მომხდარი ცვლილებები შერჩევის ცდომილების ფარგლებშია (არ აღემატება 3,5%-ს).

სურათი 20: ძლიერი დამცირება სახელმწიფოს მხრიდან: 3-ე მხარე







სურათი 21: ძლიერი დამცირება სახელმწიფოს მხრიდან: რესპონდენტი







2003 წელს, პოლიცია იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოძალადე სახელმწიფო სტრუქტურა საქართველოში. გამოკითხულთა 26%-მა და 21%-მა გაიხსენა უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში პოლიციის მიერ ადამიანის ძლიერი მორალური და ფიზიკური დამცირების შემთხვევა. გარდა ამისა, გამოკითხულთა 8% და 2.5%, შესაბამისად, თავად იყო ამგვარი ქცევის მსხვერპლი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე", თბილისის 12 მოქალაქიდან 1, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, იყო პოლიციის მიერ მორალურად დამამცირებელი ქცევის მსხვერპლი; ყოველი 40-დან 1 კი ფიზიკურად იყო შეურაცხყოფილი. 2007 წელს, რესპონდენტების მხოლოდ 2.1%-მა და 0.6%-მა გაიხენა შსს-ს მხრიდან მოქალაქის ძლიერი მორალური ან ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევა. მხოლოდ 1%-მა და 0.6%-მა აღიარა, რომ თავად იყო შსს-ს მხრიდან დამცირების მსხვერპლი.

2011 წელს ამათუიმ სახელმწიფო სტუქტურების მხრიდან დამცირების გახსენების მაჩვენებული კიდევ უფრო შემცირებულია. 2011 წლის მონაცემებით სასამართლო სისტემა სხვა სტრუქტურებთან შედარებით უფრო ხშირად სახელდება როგორც ადამიანის დამამცირებელი ქცევის წყარო (4,5% და 0,5%).

Q11. უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ რაიმე კონკრეტული შემთხვევა ადამიანის დამცირებისა სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის დროს? ...

ჩამონათვალი

Q14. თქვენ პირადად, უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, გამოგიცდიათ თუ არა დამცირება სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის დროს? ...
ჩამონათვალი

კერძო ურთიერთობებში პიროვნების დამამცირებელი ქცევის შემთხვევათა სიხშირის შეფასებამ შემდეგი სურათი მოგვცა.

2003 წელს, საერთო ჯამში, შესაბამისად, 29%-მა და 8.5%-მა იცოდა კერძო ურთიერთობებში ბოლო 1 წლის განმავლობაში მომხდარი ადამიანის ძლიერი მორალური ან ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევა. გარდა ამისა, შესაბამისად 17%-მა და 1.5%-მა აღნიშნა, რომ თავად იყო ამგვარი ქცევის მსხვერპლი.

2007 წელს, 9.3%-მა და 3.0%-მა იცოდა კერძო ურთიერთობებში მომხდარი ადამიანის ძლიერი მორალური ან ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევა. გარდა ამისა, შესაბამისად 4%-მა და 0.3%-მა აღნიშნა, რომ თავად იყო ამგვარი ქცევის მსხვერპლი. სურათი 22 და სურათი 23 წარმოადგენენ პასუხების შესაბამის განაწილებებს.

2007 წელთან შედარებით 2011 წელს რესპონდენტებმა მნიშვნელოვნად მეტი ფიზიკური და მორალური დამცირების ფაქტები გაიხსენეს კერძო ურთიერთობებში (მორალური 22,2% და ფიზიკური 17%), თუმცა საკუთარ თავზე გადამხდარი ფიზიკური თუ მორალური დამცირების ფაქტების გახსენების მაჩვენებელი 2007 წელთან შედარებით კიდევ უფრო შემცირებულია.

სურათი 22:ძლიერი დამცირება კერძო ურთიერთობებში: 3-ე მხარე











სურათი 23:ძლიერი დამცირება კერძო ურთიერთობებში: რესპონდენტი







2003 წელს, *მეზობლებთან* ურთიერთობა თბილისის მაცხოვრებელთათვის სხვა ურთიერთობებთან შედარებით ყველაზე ხშირად არის მორალური დამცირების წყარო. გამოკითხულთა 13.5%-მა გაიხსენა უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მომხდარი მეზობლის მიერ მეზობლის ძლიერი მორალური შეურაცხყოფის შემთხვევა. გარდა ამისა, 7%-მა (16-დან 1-მა) აღნიშნა, რომ თავად იყო მეზობლის მიერ მორალური შეურაცხყოფის მსხვერპლი.

2007 და 2011 წლების მონაცემებით ამგვარი შეურაცხყოფა/დამცირების შემთხვევები ძალიან შემცირებულია; მეზობლის მიერ მესამე მხარის მორალური დამცირების ფაქტს 2007 წელს იხსენებს მხოლოდ 2,5%, 2011 წელს 4,4%. 2007 წელს რესპონდენტების მხოლოდ 0.5% (4 ადამიანი) ამბობდა, რომ უახლოეს წარსულში ამგვარი შეურაცხყოფის მსხვერპლი იყო, ხოლო 2011 წელს 0,2%.

2003 წლის მონაცემებით ფიზიკური ძალადობა ყველაზე ხშირია ოჯახურ ურთიერთობებში. რესპონდენტების 3,6%-მა გაიხსენა ერთი წლის განმავლობაში ოჯახში ფიზიკური ძალადობის ფაქტი. 2007 წელს ეს მონაცემი 1,4% მდეა შემცირებული.

2011 წელს კერძო ურთიერთობებში დამცირების კითხვამ ტრანსფორმაცია განიცადა. „ძალადობა ოჯახში" დაიშალა შემადგენელ კომპონენტებად, ასევე დაემატა სკოლაში ურთიერთობების სხვადასხვა ვარიანტები. ამდენად 2011 წლის კვლევის ფარგლებში კერძო ურთიერთობებში დამცირების საკითხის შესწავლა უფრო დეტალურად მოხდა.

სხვადასხვა სახის ოჯახურ ურთიერთობებში რესპონდენტების 14,7%-მა გაიხსენა მორალური დამცირების ფაქტი , ხოლო 13,2%-მა ფიზიკური ძალადობის ფაქტი. ოჯახურ ურთიერთობებში ყველაზე ხშირად მოძალადე არის ქმარი (6,5% მორალური, 12,2% ფიზიკური). ასევე შედარებით ხშირია მამის მხრიდან შვილის მიმართ ფიზიკური დამცირება (6,7%). ოჯახურ ურთიერთობებში ყველაზე ნაკლებად დამამცირებელი ურთიერთობები არის სიძე -სიდედრ/სიმამრს შორის ურთიერთობები.

სკოლაში რესპონდენტების 10,8%-მა გაიხსენა მორალური დამცირების ფაქტი, ხოლო 7,1%-მა ფიზიკური დამცირების ფაქტი. ამასთან ფიზიკური ძალადობა რესპონდენტების აზრით ყველაზე ხშირია მოსწავლეებს შორის (6,4%).

საკუთარი გამოცდილების გახსენებისას რესპონდენტების ძალიან მცირე ნაწილი იხსნებეს მასზედ განხორციელებულ მორალურ /ფიზიკურ დამცირებას. სულ რესპონდენტების 2,9%-მა გაიხსენა მის მიერ განცდილი მორალური დამცირება, 0,7%-მა კი ფიზიკური დამცირება.

2.4. წამება – აღქმა, სიხშირე, დამოკიდებულება

Q16. როდესაც გესმით სიტყვა „წამება“, პირველ რიგში, რა მოგდით თავში?

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა როგორ ესმით თბილისის მაცხოვრებლებს ცნება „წამება“; როგორია წამების (და ზოგადად ძალადობის) სიხშირე საქართველოში; შესწავლილი იქნა ამ მოვლენის მიმართ საზოგადოებრივი მიუღებლობის დონე, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საჭიროების მასშტაბი.

დასაწყისში ვთხოვდით რესპონდენტს დაეფიქსირებინა მისი მენტალური თუ ემოციური ასოციაციები სიტყვა „წამებასთან“. პასუხების სრული ჩამონათვალი მოცემულია დანართში **Error! Reference source not found.**. სურათი 24 წარმოადგენს დაჯგუფებული პასუხების განაწილებას.

სურათი 24: ასოციაციები „წამებასთან“



შენიშვნა: ასოციაციაციების კატეგორიზაცია 2007 წელს უფრო დეტალურია ვიდრე 2003-ში. ხოლო 2011-ში უფრო დეტალური, ვიდრე 2007-ში, ამიტომ მონაცემების შედარება სიფრთხილეს ითხოვს.

როგორც 2003-ში და 2007-ში, ისე 2011-ში, რესპონდენტების დიდმა ნაწილმა „წამების“ ასოციაციად დაასახელა *ძალადობა – ფიზიკური, მორალური,* ან *ორივე.* ამ ტიპის პასუხები შეიძლება განვიხილოთ როგორც „წამების“ განმარტების მცდელობა და არა მასთან დაკავშირებული ასოციაციები.

2003-ში, რესპონდენტების მეხუთედისთვის სიტყვა „წამება“*ცხოვრების, ყოფის* თანმდევი მდგომარეობაა. უმეტესობა აქ გულისხმობდა იმ დროს საქართველოში არსებულ მძიმე სოციო-ეკონომიკურ სიტუაციას. 2007 წლისთვის ამგვარი ასოციაციების რაოდენობა შემცირდა 10%-მდე. 2011 წლისთვის კი ამ სახის ასოციაციები 5%-ზე ნაკლებია. რაც როგორც ჩანს ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თბილისში ცხოვრების დონის გაუმჯობესების შედეგია.

რესპონდენტების მცირე ნაწილისთვის სიტყვა „წამება“ რელიგიური ხასიათის ასოციაციებს იწვევს. 2003 წელს გამოკითხულთა 2%-სთვის „წამება“ პირველ რიგში დაკავშირებულია იესო ქრისტესა და ქართველ წამებულთა – შუშანიკის, ქეთევანის, აბოს – სახელებთან. 2007 წლისთვის ამგვარი ასოციაციების წილი 4-ჯერ, 0,5%-მდე, შემცირდა. 2011 წლისთვის მათი წილი 5%-მდე გაიზარდა.

„წამებასთან“ ასოციაციების კიდევ ერთი ჯგუფს პირობითად „პოლიცია და ციხე“ შეგვიძლია ვუწოდოთ. 2003 და 2007 წლებში გამოკითხულთა დაახლოებით 12%-სთვის წამება ასოცირდებოდა ისეთ ინსტიტუტებთან როგორიცაა პოლიცია, ციხე. თუმცა 2003 წელს „წამება“ პირველ რიგში პოლიციასთან ასოცირდებოდა, 2007 წელს კი ძირითადად „ციხესთან“. 2011 წელს მდგომარეობა შეიცვალა და პოლიციასთან „წამებას“ აკავშირებს მხოლოდ 0,9%, ხოლო ციხესთან 4,3%. აქვე აღსანიშნავია რომ გაჩნდა ასოციაციები, რომელიც დაკავშირებულია არსებულ ხელისუფლებასთან - „საკაშვილის / მერაბიშვილის მთავრობა“ (0,5%).

2003 წელს, გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მეხუთედისთვის (20%) წამება პირველ რიგში *ემოციურ* ასოციაციებს იწვევს. გასაგებია რომ ეს ძირითადად ნეგატიური – ტკივილის, შიშის, სევდის, შეცოდების, „საშინელების“, პროტესტის (3.4%) – შეგრძნებებია. 2007 წელს, ამგვარი ემოციური ასოციაციების რიცხვი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ეს არის შემდეგი ტიპის ასოციაციები: *„ტკივილი, შიში, ტირილი, სისხლი“*(16%), ადამიანის *სისასტიკის* გამო შეშფოთების განცდა (6%), *პროტესტის* გრძნობა (3%), *უსამართლობის* გრძნობა (2%), *სიბრალულის* განცდა (2%) და ზოგადად *ცუდი* გრძნობები (6%). 2011 წელს ემოციური ხასიათის ასოციაციები გაუჩნდათ რესპონდენტების 18,6%-მდე (შემზარავი შეგრძნებები (8,7%), ტკივილი / შიში (7,6%), სიბრალული (1,1%), პროტეტის / შურისძიების გრძნობა (1,1%).

2007და 2011 წლებში, რესპონდენტების შესაბამისად 2% და 2,8%-მა თქვა, რომ სიტყვა „წამების“ გაგონებაზე წამების კონკრეტული შემთხვევები, პირველ რიგში გირგვლიანის შემთხვევა ახსენდებათ.

2011 წელს „წამებასთან“ დაკავშირებით გაჩნდა წარსულის კონკრეტულ პერიოდთან დაკავშირებული ასოციაციები, როგორიცაა „ინკვიზიციის პერიოდი“, „საბჭოთა კავშირი“, „90-იანი წლები“, „საკონცენტრაციო ბანაკების პერიოდი“. რესპონდენტებს აგრეთვე გაუჩნდათ წამების კონკრეტულ მეთოდებთან და ფორმებთან დაკავიშრებული ასოციაციები (გაუპატიურება, ლინჩის წესით გასამართლება, ჰიტლერი, გოგირდმჟავა, სარდაფები / ტყვიები / იარაღები, მანქანით დაჯახება).

ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა „წამებას“ საქართველოში კონოტაციების ძალზე ვრცელი სპექტრი გააჩნია. ყველაზე უფრო ფართე გაგებით, როგორც ეს ადრე იყო აღნიშნული, სიტყვა იხმარება როგორც „მძიმე ცხოვრების“ სინონიმი. უფრო ვიწრო გაგებით, ზღვარი *წამებასა* და *ფიზიკურ ძალადობას* შორის საკმაოდ ბუნდოვანია. გარდა ამისა, თუმცა კი ძირითადად *წამების* ცნება *ფიზიკურ ძალადობასთან* არის დაკავშირებული, *მორალური ძალადობაც* მისი განუყოფელი ელემენტია. კიდევ ერთი თვალსაზრისით, თუმცა *წამება* მნიშვნელოვნად ასოცირდება *სახელმწიფო ინსტიტუტებთან* („ძალოვნებთან“ და „სამართალდამცავებთან“), მას აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი უკავია კერძო ურთიერთობებში – როგორც კრიმინალური ძალადობის (გამოძალვა, შურისძიება, და ა.შ.) და ოჯახური ურთიერთობების (მეუღლეზე, ბავშვებზე ძალადობა) მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ელემენტს.

მრავალ ასპექტში, კაცებს „წამება“ ქალებისაგან განსხვავებულად ესმით. მაგალითად, კაცები მკაფიოდ გამიჯნავენ ფიზიკურ ძალადობას პატიმრებზე და ფიზიკურ ძალადობას წინასწარ დაკავებულებზე. კერძოდ, კაცები თვლიან, რომ უკანასკნელი მეტად არის დაკავშირებული წამებასთან ვიდრე პირველი, მაშინ როდესაც ქალები ამგვარ განსხვავებას არ აფიქსირებენ. აგრეთვე, ქალებისგან განსხვავებით, კაცები ნაკლებად თვლიან, რომ სიტყვა „წამება“ შეიძლება მიესადაგოს კაცის მიერ ცოლის ფიზიკური შეურაცხყოფას. იგივე ეხება მორალურ შეურაცხყოფასაც. ზოგადად, ყველა შემთხვევაში ქალები მის მიმართ უფრო სენსიტიურები არიან და უფრო მეტად არიან მზად დაუკავშირონ ის „წამებას“, ვიდრე კაცები.

კვლევის მონაცემების მიხედვით არ არის გამოვლენილი მნიშვნელოვანი კავშირი წამების აღქმასა და რესპონდენტის *ასაკსა* და *შემოსავალს* შორის.

Q17, Q19. თქვენი აზრით, რამდენად ხშირია ქვემოთმოყვანილი შემთხვევები საქართველოში?

რესპონდენტებს ვთხოვდით შეეფასებინათ ძალადობის სხვადასხვა სცენარების (შემთხვევების) სიხშირე საქართველოში. 2011 წელის კვლევაში ძალადობის სცენარების ჩამონათვალი შეიცვალა, დაემატა კერძო ურთიერთობებში ფიზიკური ძალადობის სცენარი ცოლი-ქმარს, ხოლო „90-იანი წლების შიდა კონფლიქტების“ შეიცვალა „2008 წლის აგვისტოს ომით“. სურათი 25 და **Error! Reference source not found.** წარმოადგენენ შესაბამისი პასუხების განაწილებას. უნდა გვახსოვდეს, რომ წინა თავში მოყვანილი მონაცემებისგან განსხვავებით, რომლებიც ასახავდნენ ძალადობის (შეურაცხყოფის/დამცირების) რეალურ სიხშირეს, ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ასახავენ ძალადობის სხვადასხვა სცენარის სიხშირის საზოგადოების მიერ *აღქმას.*

სურათი 25: ფიზიკური ძალადობის სიხშირის აღქმა





სურათი 26. ფიზიკური ძალადობის სიხშირის აღქმა, საშუალო მაჩვენებლები



შენიშვნა: ამ დიაგრამაზე მოცემულია ძალადობის სხვადასხვა სცენარის სიხშირის შეფასებების საშუალო მაჩვენებლები. საშუალო მაჩვენებლები მონაცემების აღქმას აადვილებს და უფრო ნათლად გამოხატავს სიხშირის აღქმას

2003 წელს, რესპონდენთა 90% თანხმდება იმაზე, რომ დაკავებულებზე და პატიმრებზე ძალადობა, როგორც ფიზიკური ისე მორალური, საქართველოში ხშირია; მათი ნახევარი ამბობს, რომ ის „ძალიან ხშირია". ფიზიკური და, უფრო ხშირად, მორალური ძალადობა საკმაოდ ხშირია კერძო ურთიერთობებშიც. ასე, გამოკითხულთა 76% თანხმდებოდა იმაზე, რომ ფულის *გამოძალვის* მიზნით ფიზიკური ძალადობა ხშირია საქართველოში, ისევე როგორც ფიზიკური ძალადობა *ვალის დასაბრუნებლად* (66%) და *შურისძიების* მიზნით (61%). ოჯახური ძალადობაც როგორც ჩანს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. გამოკითხულთა 50% და 44% თანხმდება იმაზე, რომ საქართველოში ხშირია შესაბამისად შვილებზე და ცოლზე ფიზიკური ძალადობა.

2007 წელს, პირველი რაც თვალში გვხდება, არის „ძალიან ხშირი" შეფასებების სიმცირე. თუმცა, მაინც ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ფიზიკური და მორალური ძალადობა არის ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი ხშირი მოვლენა. რესპონდენტების ორ მესამედამდე (65%-70%) თვლის, რომ დაკავებულებზე და პატიმრებზე ძალადობა ხშირია, რაც მნიშვნელოვანი კლებაა 2003 წლის 90%-დან.

2011 წლის მონაცემებით რესპონდენტების აზრით საქართველოში ხშირია ქმრის მიერ ცოლზე ძალადობის ფაქტები და მშობლების მიერ ბავშვების დასჯა. მათი აზრით შედარებით იშვიათია ვალის დაბრუნების, ფულის გამოძალვის და შურისძიების მიზნით, პატიმარზე და წინასწარ დაკავებაში მყოფ პირებზე, ეჭვიტანილის დაკავების დროს, გამოძიების პროცესში, ბავშვთა სახლებში ძალადობა. ძალიან იშვიათია ცოლის მიერ ქმარზე, ფსიქიატრიულში, 2008 წლის ომის დროს ტყვეებზე, სკოლაში ბავშვებზე ფიზიკური ძალადობა. რესპონდენტების უმრავლესობა თანხმდება, რომ 2008 წლის ომის დროს მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობა არ ხორციელდებოდა.

<u>*სქესი.*</u> კაცები და ქალები ზოგადად არ განსხვავდებიან ძალადობის სიხშირის შეფასებაში. 2007 წელს ერთადერთი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ეხებოდა პატიმრებსა და ეჭვმიტანილებზე ფიზიკურ ძალადობას. კერძოდ, კაცები მას უფრო ხშირ მოვლენად თვლიდნენ საქართველოში, ვიდრე ქალები. 2011 წლის მონაცემებით კი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის არის მხოლოდ ქმრის მიერ ცოლზე ძალადობის სიხშირის აღქმაში. მამაკაცების უფრო ნაკლებად ხშირ მოვლენად თვლიან ქმრის მიერ ცოლზე ძალადობას, ვიდრე ქალები. (t-test for independent samples)

<u>*ასაკი.*</u> 2011 წელს ასაკის მიხედვით რესპონდენტების დაჯგუფებისას გამოვლინდა, რომ სტატისტიკურად სანდო განსხვავება ძალადობის სიხშირის აღქმაში არის 18-25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფსა და 45-და მეტი ასაკის ასაკობრივ ჯგუფს შორის. 45-და მეტი ასაკის რესპონდენტები უფრო ნაკლებად თვლიან, რომ ძალადობის შემდეგი სცენარები ხშირია: „ქმრის მიერ ცოლზე", „მშობლების მიერ ბავშვებზე", „შურისძიების მიზნით", პატიმარზე და ეჭვმიტანილზე და სკოლაში ბავშვზე. ასეთი შედეგი შესაძლოა იმით არის გამოწვეული, რომ ახალგაზრდა თაობა უფრო მეტად მგრძნობიარეა დამამცირებელი ქცევის ძალადობად აღქმის კუთხით. (ANOVA, t-test for independent samples).

<u>დასაქმება.</u> დასაქმების მიხედვით გაშლა, სხვადასხვა ჯგუფებს შორის მრავალ განსხვავებას წარმოაჩენს. 2007 წელს კერძო სექტორში დასაქმებულები შედარებით უფრო შეშფოთებულები იყვნენ ძალადობით *გამოძალვის* და *შურისძიების* მიზნით, ანუ უფრო ხშირ მოვლენად მიიჩნევდნენ ასეთ შემთხვევებს, ვიდრე სხვები – განსაკუთრებით, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები და პენსიონერები. უმუშევრებს ყველაზე მეტად აღელვებდათ *სამართალდამცავების* მხრიდან ძალადობა, ანუ *ეჭვმიტანილებზე* და *პატიმრებზე* ფიზიკური და მორალური ძალადობა. აქაც პენსიონერები და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულნი ყველაზე ნაკლებად იყვნენ შეშფოთებულნი.

2011 წელს სტატისტიკურად სანდო განსხვავებები დასაქმების ჯგუფებს შორის მივიღეთ შემდეგი სახის ძალადობის სიხშირის აღქმის მიმართ: „ქმრის მიერ ცოლზე ძალადობა“, „ძალადობა ბავშვზე“.

ქმრის მიერ ცოლზე ძალადობას უფრო ხშირ ფენომენად აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავენი, დიასახლისები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

სხვა ჯგუფებთან შედარებით სტუდენტები ყველაზე მეტად თვლიან ხშირ მოვლენად ოჯახში ბავშვზე ძალადობას, ყველაზე ნაკლებად კი დიასახლისები.

(ANOVA, t-test for independent samples).

<u>შემოსავალი.</u> პირადი შემოსავლის ჯგუფების მიხედვით[5] მონაცემების დამუშავებამ გამოავლინა, რომ რაც უფრო მაღალი შემოსავლის ჯგუფს მიეკუთვნება რესპონდენტი, მით უფრო ხშირ მოვლენად თვლის ქმრის მიერ ცოლზე ძალადობას და ოჯახში ბავშვზე ძალადობას, და ბავშვთა სახლებში ბავშვებზე ძალადობას. სხვა სახის ძალადობების სიხშირის აღქმის კუთხით შემოსავლის ჯგუფებს შორის განსხვავებები არ გამოვლინდა.

(ANOVA, t-test for independent samples).

[5] პირადი შემოსავლის მიხედვით გამოიყო შემდეგი ჯგუფები - „შემოსავლის არ მქონე“, „100 ლარამდე“, „100-300 ლარი“, „300-500 ლარი“, „500-1000 ლარი“ და „1000-3000 ლარი“

Q18, Q20. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება ქვემოთმოყვანილი ქმედებების გამართლება?

რესპონდენტები აფასებდნენ რამდენად შეიძლება მათი აზრით, ძალადობის ზემოაღნიშნული სცენარების (შემთხვევების) გამართლება. სურათი 27 და **Error! Reference source not found.** წარმოადგენენ პასუხების შესაბამის განაწილებებს.

სურათი 27: ფიზიკური ძალადობის გამართლებულობა





სურათი 28 ფიზიკური ძალადობის გამართლებულობა. (როგორც წესი გამართლებულია და ზოგჯერ გამართლებულია პასუხების განაწილება)





შენიშვნა: დიაგრამაზე მოცემულია იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც ამათუიმ ურთერთობებში ფიზიკურ ძალადობას ამართლებს, ან თვლის რომ ზოგჯერ გამართლებულია (დაჯამებული მონაცემები)

მოცემულ კითხვაზე პასუხების ერთობლიობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მნიშვნელოვან და ხშირად გამოთქმულ მოსაზრებას, რომ წამების, და ზოგადად ძალადობის არსებობა არ არის რაიმე კონკრეტული სახელმწიფო ინსტიტუტის (მაგ. პოლიციის) იზოლირებული პრობლემა, არამედ წარმოადგენს მთლიანად საზოგადოების ღირებულებებისა და მისთვის მისაღები მეთოდების ერთობლიობის ანარეკლს. 2003 წელს, გამოკითხულთა ერთი მეოთხედიდან ერთ მესამედამდე თვლის, რომ ფიზიკური ძალადობა ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულია. 2007 წელს ფიზიკური ძალადობის ამათუიმ სცენარს ამართლებს რესპონდენტების 16,5%[6].

2011 წელს კი რესპონდენტების 23,3% ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ამართლებს ამათუიმ ურთიერთობაში ფიზიკურ ძალადობას[7].

[6] რესპონდენტების რაოდენობა, რომელმაც ძალადობის ერთ სცენარზე მაინც თქვა რომ „გამართლებულია“ ან „ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულია“

[7] 2011 და 2007 წლის ხსენებული მაჩვენებლების შედარება რთულია, რადგან 2011 წელს ძალადობის ფორმების ჩამონათვალში დაემატა პასუხის ორი ვარიანტი, ხოლო 2 ვარიანტი შეიცვალა.

2003-2007 წლების მონაცემებით, ოჯახური ძალადობა ან პირადი ვალის ამოღების მიზნით ძალადობა შედარებით უფრო მისაღებია, ვიდრე სახელმწიფოს ან კრიმინალების მხრიდან ძალადობა. 2007 წელს, რესპონდენტების 20% მზადაა გაამართლოს მევალეზე, მეუღლეზე, ან შვილზე ფიზიკური ან მორალური ძალადობა.

2011 წელს სხვა სცენარებთან შედარებით ყველაზე მეტი მიმღებლობა აქვთ ოჯახში ბავშვის დასჯის მიმართ. თითქმის ყოველმა მეათე რესპონდენტმა (9,6%) აღიარა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც მისაღებია ბავშვის დასჯა. ასევე შედარებით მისაღებია ეჭვმიტანილის დაკავების დროს (8,5%), ვალის დაბრუნების მიზნით (7,9%) და წინასწარ დაკავებაში მყოფ პირზე ძალადობა (7,9%).

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება ამათუიმ სახის ძალადობის გამართლების თვალსაზრისით არ დაფიქსირდა. რესპონდენტების ასაკი, დასაქმება და შემოსავალი ასევე არ აღმოჩნდა განმასხვავებელი ფაქტორი ძალადობის გამართლების კუთხით.

Q24. თქვენი აზრით, კლებულობს თუ მატულობს წამების შემთხვევები საქართველოში?

კითხვარის ამ ადგილას რესპონდენტები ეცნობოდნენ წამების განმარტებას: „წამება არის სახელმწიფო მოხელის მხრიდან ადამიანისთვის ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილის მიყენება, რომლის მიზანია მსხვერპლისგან ინფორმაციის ან აღიარების მიღება, მისი დასჯა, დაშინება, ან რაიმეს იძულება". ეს განმარტება არ იყო ჩართული 2003 წლის კითხვარში, ამრიგად, Q20-ის მომდევნო კითხვებზე პასუხებში 2003-სა 2007-ს შორის განსხვავებები ნაწილობრივ ამ განმარტების შემოტანით შეიძლება აიხსნას.

რესპონდენტები აფასებდნენ მათი აზრით როგორია წამების შემთხვევათა რიცხვის დინამიკა საქართველოში. სურათი 29 წარმოადგენს პასუხების განაწილებას.

სურათი 29:წამების შემთხვევათა დინამიკის შეფასება

წლების მიხედვით სურათი ცალსახად გაუმჯობესებულია. თუ 2003 წელს რესპონდენტების 9% ამბობდა, რომ წამების შემთხვევათა რიცხვი საქართველოში კლებულობს, 2007-ში მათი წილი გაიზარდა 30%-მდე, 2011-ში კი 55%-მდე. 2011 წელს მხოლოდ 18% თვლის რომ წამების შემთხვევები იზრდება.

Q25. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება საქართველოში წამების შემთხვევების შესამცირებლად და წამების მსხვერპლთა დასახმარებლად?

რესპონდენტები გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს იმის თაობაზე, არის თუ არა საჭირო საგანგებო ღონისძიებების გატარება საქართველოში წამების შემთხვევათა შესამცირებლად. სურათი 30 წარმოადგენს პასუხების განაწილებას.

სურათი 30:წამებასთან ბრძოლის საჭიროება



იმის ფონზე, რომ ძალადობის რეალური და აღქმული სიხშირე საქართველოში მცირდება, საზოგადოების აზრი წამებასთან ბრძოლის საჭიროების შესახებ წლების განმავლობაში თანდათან იცვლება. იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც თვლიან, რომ წამებასთან ბრძოლა პირველხარისხოვანი საჭიროებაა, თანდათან მცირდება. 2011-ში რესპონდენტების 15,5% თვლის, რომ წამების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება პირველხარისხოვანია. გაიზარდა იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც თვლიან, რომ ასეთი ღონისძიებები არ არის საჭირო ან ნაკლებად საჭიროა (სულ 22,2%).

სხვადასხვა სოციო-დემოგრაფიული ჯგუფები ამ კითხვას პრაქტიკულად ერთნაირად პასუხობდნენ.

ბუნებრივია, რომ აღნიშნულ ორ კითხვაზე პასუხები ერთმანეთთან კორელირებენ: რაც უფრო ნეგატიურია რესპონდენტის მიერ წამების შემთხვევების დინამიკის აღქმა, მით უფრო პირველხარისხოვნად მიაჩნია მას ეს პრობლემა. (paired sample test, sig.:=.000)

Q26. თუ წამებასთან ბრძოლა საჭიროა, თქვენი აზრით რა ტიპის ღონისძიებები უნდა იყოს ეს პირველ რიგში?

რესპონდენტები აფასებდნენ წამებასთან დაკავშირებული პრევენციული და რეაბილიტაციური ღონისძიებების მნიშვნელობას. სურათი 31 წარმოადგენს პასუხების შესაბამის განაწილებას.

სურათი 31: წამებასთან ბრძოლის მეთოდები





სურათი 32 წამებასთან ბრძოლის მეთოდების პრიორიტეტულობის აღქმა



შენიშვნა: 2011 წლის კითხვარში დამატებული იქნა პასუხის ვარიანტი „წამების ჩამდენის მიერ მსხვერპლისთვის ფულადი კომპენსაციის მიცემა

როგორც ნათლად ჩანს, სამივე კვლევის მონაცემებით მწამებელთა *დასჯა* / პასუხისგებაში მიცემა განიხილება როგორც წამებასთან ბრძოლის ყველაზე მისაღები მეთოდი.

ასევე პრიორიტეტულად არის მიჩნეული წამების მსხვერპლთა სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება. 2003 წელს მსხვერპლის დამხარება (სამედიცინო, ფსიქოლოგიური, იურიდიული) ეფექტურ საშუალებად მიაჩნდა 33%-ს, 2007 წელს 42%-ს, ხოლო 2011-ში 30%-ს.

შემდეგი პრიორიტეტია საზოგადოების უკეთ ინფორმირება წამების შემთხვევებისა და ადამიანის უფლებების შესახებ.

„ძალოვან სტრუქტურებში პროფესიონალიზმის ზრდა“ და „ხელფასების ზრდა“ განიხილება ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვან პრიორიტეტად.

Q28. იცით თუ არა, უკანასკნელი 2 წლის მანძილზე, ადამიანის წამების რაიმე კონკრეტული შემთხვევა?
(გთხოვთ უპასუხოთ „დიახ“ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პირადად იცნობთ ასეთ ადამიანს ან შეესწარით ასეთ შემთხვევას)

კითხვარის ბოლოს შევეცადეთ თბილისში წამების შემთხვევათა რეალური მასშტაბის შეფასება – რესპონდენტთა რეალურ გამოცდილებებზე და არა მათ სუბიექტურ შეფასებებზე დაყრდნობით. რესპონდენტს ვეკითხებოდით თუ იცოდა წამების რაიმე კონკრეტული შემთხვევა, ანუ, ისეთი შემთხვევა, როდესაც პირადად იცნობდნენ მსხვერპლს ან უშუალოდ ესწრებოდნენ წამების აქტს. სურათი 33 წარმოადგენს მიღებულ შედეგებს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2003 და 2007/2011 წლებში კითხვა სხვადასხვანაირად იყო დასმული, ამიტომ შედეგების პირდაპირ შედარება ვერ მოხერხდება. კერძოდ, 2003 წელს კითხვა დასმული იყო ზოგადად, იმ პერიოდის მითითების გარეშე, რომლის განმავლობაშიც წამების აქტს ჰქონდა ადგილი. 2007 და 2011 წლებში კი რესპონდენტებს ვეკითხებოდით წამების შემთხვევებზე უკანასკნელი 2 წლის მანძილზე.

სურათი 33:იცნობთ თუ არა წამების მსხვერპლს



2003 წელს, გამოკითხულთა 19%-მა (ყოველი ხუთიდან ერთმა) იცოდა წამების კონკრეტული შემთხვევის შესახებ, ხოლო 70%-მა არ იცოდა. 11%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხი. მოგვიანებით იმათ, ვინც იცოდა წამების შესახებ ვეკითხებოდით, თუ რომელ წელს მოხდა მათ მიერ აღწერილი შემთხვევა. 152 დადებითი პასუხიდან, 85 შემთხვევა (ყველა პასუხის 11%) 2002 და 2003 წლებში მოხდა.

2007 წელს, რესპონდენტების 4.7%-მა (38 ადამიანმა) აღნიშნა, რომ იცოდა წამების შემთხვევა ,რომელიც მოხდა უკანასკნელი 2 წლის მანძილზე, ხოლო რესპონდენტების 90%-მა არ იცოდა ასეთი შემთხვევის შესახებ. დაახლოებით 7%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხი. მაგრამ, როდესაც რესპონდენტებს ვეკითხებოდით შემთხვევის კონკრეტულ დროს, სამმა აღიარა, რომ მათ მიერ გახსენებული შემთხვევები 2003 ან 2004 წელს მოხდა, ანუ კითხვაში მინიშნებულ 2-წლიან პერიოდამდე უფრო ადრე.

2011 წელს რესპონდენტების მხოლოდ 2,1%-მა (17 რესპონდენტი) აღნიშნა, რომ იცოდა გასული 2 წლის განმავლობაში მომხდარი წამების კონკრეტული შემთხვევის შესახებ, 8%-მა კი თავი შეიკავა პასუხისგან.

უდაო ფაქტია, რომ წამების შემთხვევების რიცხვი თბილისში მცირდება.

2003 წელს, გამოკითხულთა დაახლოებით 1%-მა (7 ადამიანმა) გვიპასუხა, რომ თავად იყო წამების მსხვერპლი და 1%-მა (9 ადამიანმა) გვიპასუხა, რომ მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრი იყო წამების მსხვერპლი. ამგვარად, თბილისურ ოჯახთა 2%-ში (ყოველი 50-დან 1-ში) იყო ოჯახის წევრი, რომელსაც გამოუცდია წამება. რაც ნიშნავს, რომ თბილისში დაახლოებით 7000 წამების მსხვერპლი პიროვნება (ოჯახი) ცხოვრობდა, თუ ვივარაუდებთ, რომ ოჯახების საერთო რაოდენობა საქართველოს დედაქალაქში 350 ათასია.

2007 წელს, გამოკითხული ოჯახების მხოლოდ 0.5%-ში აღმოჩნდა წევრი რომელიც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში წამების მსხვერპლი იყო.

2011 წელს გამოკითხულთაგან არცერთმა არ აღნიშნა, რომ თავად იყო წამების მსხვერპლი, ხოლო 0,2%-მა კი აღიარა რომ მისი ოჯახის წევრი იყო წამების მსხვერპლი. თუ ამ მონაცემის თბილისის მოსახლეობაზე ექსტრაპოლაციას მოვახდენთ, მივიღებთ, რომ დაახლოებით 700 ადამიანი იყო გასული 2 წლის განმავლობაში წამების მსხვერპლი.

„წამება“ საქართველოში, საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა, წამების „იურიდიული“ განმარტება და ის რასაც რესპონდენტები გულისხმობენ „წამების“ ცნებაში, ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. 2003 წლის კვლევაში რესპონდენტებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ეძლეოდათ „წამების“ იურიდიული განმარტება, 2007 და 2011 წლებში ეს განმარტება მოცემული

იყო კითხვარში და ინტერვიუერი უკითხავდა რესპონდენტს. მიუხედავად ამისა, 2007 წელს რესპონდენტები წამების ჩამდენთა შორის ასახელებდნენ კერძო პირებს (ნათესავი, კრიმინალი და სხვა). 2011 წელს ინტერვიუერებს ტრენინგზე ხაზგასმით მიეცათ ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა აეხსნათ „წამების" ცნება რესპონდენტებისთვის. გარდა ამისა, კოდირების დროს კერძო ურთიერთობებში ძალადობის შემთხვევებს არ ენიჭებოდა წამების კოდი და არ იქნა გათვალისწინებული ზოგად შედეგებში.[8]

სურათი 34 გვიჩვენებს რესპონდენტების მიერ დასახელებული წამების შემთხვევებში წამების ჩამდენის ვინაობას.

სურათი 34:წამების ჩამდენი



2003 წელს „წამების" სულ აღწერილი 152 შემთხვევიდან, 78% პოლიციის მიერ იყო ჩადენილი. წამების პირდაპირი გამოცდილების (ან რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ) 16 შემთხვევიდან 11 (69%) პოლიციის მიერ იყო ჩადენილი. დანარჩენი 20-30% ჩადენილია კრიმინალების, ოჯახის წევრების, მეზობლების და უცხო პირების მხრიდან.

2007 წელს, 38 დასახელებული შემთხვევიდან, 68% ჩადენილი იყო პოლიციის ან სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლების მიერ, ხოლო 13% კრიმინალების მიერ.

2011 წელს წამების ჩამდენი დაასახელა მხოლოდ 11 რესპონდენტმა. წამების ჩამდენთა შორის დასახელდა: პოლიციის თანამშრომელი, ციხის ბადრაგი, სპეცრაზმელი, სკოლაში პედაგოგი.

[8] კერძო შემთხვევების რაოდენობა არ აღემატებოდა 5 პასუხს.

Q28_3. თუ კი, თქვენი აზრით, სჭირდება თუ არა ამ ადამიანს დახმარება?

2007 წელს იმ 38 რესპონდენტს, ვინც იცოდა წამების კონკრეტული შემთხვევის შესახებ, ვთხოვდით ეთქვათ, მათი აზრით, ესაჭიროება თუ არა წამების მსხვერპლს რაიმე დახმარება. სურათი 35 წარმოადგენს პასუხების განაწილებას.

სურათი 35: სჭირდება თუ არა მსხვერპლს დახმარება



2011 წელს სულ 12-მა რესპონდენტმა გასცა პასუხი კითხვას „სჭირდება თუ არა წამების მსხვერპლს რაიმე სახის დახმარება?“, მათგან 4-მა განაცხადა, რომ მსხვერპლს არ სჭირდება დახმარება. ამდენად 8 რესპონდენტის პასუხების გრაფიკული წარმოდგენა არ მიგვაჩნია კორექტულად. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2003 და 2007 წლებისგან განსხვავებით[9] 2011 წლის კვლევაში რესპონდენტების მიერ აღწერილ შემთხვევებიდან არც ერთს არ ჰქონდა ფატალური შედეგი.

Q19. თქვენი აზრით, სად (რა ადგილებში) ხდება წამება უფრო ხშირად და სად - უფრო იშვიათად?
...ადგილების ჩამონათვალი

წამების “ცხელი წერტილების“ იდენტიფიკაციის მიზნით, რათა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების ყურადღების ფოკუსის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, რესპონდენტები აფასებდნენ თუ რამდენად ხშირია წამების შემთხვევები ისეთ ადგილებში როგორიცაა ციხე, წინასწარი დაკავების საკნები, ჯარი, ფსიქიატრიული საავადმყოფოები, და ა.შ. სურათი 36 წარმოგვიდგენს პასუხების განაწილებას.

2007 წლის მონაცემებით, რესპონდენტების ყველაზე მეტი ნაწილი თვლიდა, რომ ციხეში (51,9%) და *წინასწარი დაკავების საკნებში* (45,3%) წამება ხშირია. 2011 წლისთვის მათი წილი მნიშვნელოვნად შემცირდა. ციხეში წამებას ხშირ მოვლენად მიიჩნევს 25,9%, ხოლო *წინასწარი დაკავების* საკანში 18,7%.

მსგავსი ტენდენიცია შეინიშნება სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში თუ მის გარეთ სახელმწიფო მოხელეების მიერ წამების სიხშირის აღქმის კუთხით. რესპონდენტების აზრით ყველაზე იშვიათად წამება ხდება სკოლებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.

[9] როგორც 2003 ისე 2007 წელს 8 შემთხვევა იყო აღწერილ რომელიც ფატალური შედეგით დასრულდა.

სურათი 36: წამების სიხშირე სხვადასხვა ადგილებში





Q20 თქვენი აზრით, წინასწარი დაკავების დროს წამება, პირველ რიგში, რა მოტივით ხდება?

... მოტივების ჩამონათვალი

Q21. თქვენი აზრით, ციხეში წამება, პირველ რიგში, რა მოტივით ხდება?

... მოტივების ჩამონათვალი

რესპონდენტები გამოთქვამდნენ აზრს წინასწარი დაკავების საკანში და ციხეში ადამიანთა წამების ძირითადი მოტივების შესახებ. ჩამოთვლილ მოტივებს რესპონდენტები ალაგებდნენ მნიშვნელოვნების მიხედვით. სურათი 37 და

სურათი 38: წამების მოტივები ციხეში





წარმოგვიდგენენ პასუხების განაწილებას.

სურათი 37: წამების მოტივები წინასწარი დაკავების საკანში





სურათი 38: წამების მოტივები ციხეში



2003 წელს, თბილისის მაცხოვრებელთა აზრით, დაკავებულთა წამების ორი ძირითადი მოტივი იყო *ჩვენების მიღება* და *ფულის გამოძალვა.* გარდა ამისა, ბევრი ფიქრობდა, რომ პოლიცია *დამსჯელის* ფუნქციასაც ითავსებს და *სჯის* დაკავებულს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ან პოლიციისთვის გაწეული წინააღმდეგობისთვის. სხვა ფაქტორები, რომლებიც დროდადრო სახელდება აღნიშნული თემის ირგვლივ დისკურსში (მაგ. *დაკვეთით წამება,* ან უბრალოდ *არამოტივირებული სისასტიკე),* რესპონდენტების აზრით ნაკლებად მნიშვნელოვანია.

გამოძალვის მოტივის მნიშვნელობა შემცირებულია 2007 წელს და კიდევ უფრო მეტად 2011 წელს.

2007 და 2011 წლებში ყველაზე მნიშვნელოვან მოტივებად სახელდება „ჩვენების მიღება“ და „ურჩი დაკავებულის დასჯა“. ხოლო ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვან ფაქტორად „დაკავებულის მტრების დაკვეთა“ და „არამოტივირებული სისასტიკე“.

რაც შეეხება ციხეში წამების მოტივებს, ეს კითხვა 2007 წლის კითხვარში გაჩნდა. 2007 წელს *პატიმრების კონტროლი* განიხილება როგორც ციხეში წამების ძირითადი მოტივი, რომელთან ერთად ხშირად *„ქურდულ“ სამყაროსთან ბრძოლა* სახელდება. 2011 წელს კი ციხეში წამების ყველაზე მნიშვნელოვან მოტივად რესპონდენტები ასახელებენ „ურჩი პატიმრების დასჯას“ და „ჩვენების მიღებას“.

Q25 თქვენი აზრით, რამდენად უწყობს ხელს საქართველოში აგრესიის ზრდას შემდეგი ფაქტორები:

... ინსტიტუტების ჩამონათვალი

როგორც ეს ადრე იყო აღნიშნული, საზოგადოების აზრით, მზარდი სოციალური აგრესია არის საქართველოს წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. რესპონდენტები აფასებდნენ თუ რამდენად უწყობს ხელს ესათუის საზოგადოებრივი ინსტიტუტი /ფაქტორი საზოგადოებაში აგრესიის ზრდას. სურათი 39 წარმოგვიდგენენ პასუხების განაწილებას.

სურათი 39: აგრესიის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები





შენიშვნა: დიაგრამებზე მოცემულია შეფასების საშუალო რანგები

როგორც 2007 წლის, ისე 2011 წლის მონაცემებით საზოგადოების აზრით *სიღარიბე* არის საზაგადოებაში აგრესიული მუხტის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი – ყველა დანარჩენი ფაქტორი გაცილებით უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია. 2011 წლის მონაცემებით მასმედიას ასევე დიდი როლი აქვს აგრესიის ზრდაში, როგორც ჩანს ასეთი დამოკიდებულების მიზეზი არის საინფორმაციო გამოშვებებში უარყოფითი ინფორმაციის აშკარა დომინირება.

ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა მნიშვნელობის მიხედვით შემდეგი ფაქტორია, რომელიც საზოგადოებრივი აგრესიის ზრდას უწყობს ხელს.

არსებული სასამართლო სისტემა, სახელმწიფო პროპაგანდა, სამართალდამცავი საშუალებების ქმედები სხვა ფაქტორებთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ახდენენ გავლენას საზოგადოებაში აგრესიული მუხტის გამოწვევაში.

რესპონდენტების აზრით, ყველაზე ნაკლებად აგრესიის ზრდაზე მოქმედებს სამსახურეობრივი ურთიერთობები, სკოლაში ჩამოყალიბებული ურთიერთობები და ოჯახში დამკვირდებული აღზრდის სტილი. თუმცა ამ ფაქტორებმა საშუალოზე მეტი ქულა მიიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა მაინც არ თვლის, რომ ისინი აგრესიის შემცირებას უწყობენ ხელს.